ეროვნული ბიბლიოთეკა

# თავისუფალი საქართველო

მრგვალი მაგიდის
საზოგადოებრივ-პოლიტიკური გაზეთი

№ 5 (10)

22 II 1991

## სამი აბსურდი ერთ პატარა წერილში

ყველამ წავიკითხეთ საქართველოს ეროვნული დამოუკიდებლობის პარტიის ხელმძღვანელობის მიმართვა ამიერკავკასიის სამხედრო ოლქის ჯარების სარდალ, გენერალ-პოლკოვნიკ პატრიკეევისადმი გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ 1991 წ. 13 თებერვლის ნომერში.

ჩვენის აზრით, ამგვარი მიმართვა ცოტა არ იყოს პროვოკაციულად ჟღერს, ვინაიდან, დღეს საოკუპაციო ჯარის წინაალმდეგ მიმართულ ნებისმიერ ქმედებას, შესაძლოა, ჩვენი ერისთვის ტრაგიკული შედეგები მოჰყვეს, და ეს ფაქტი ვგონებ დასაბუთებას არ საჭიროებს.

რაც შეეხება თავად მიმართვის ტექსტს, მისი ზოგი პასაჟი, რბილად რომ ვთქვათ, ძალზე გულუბრყვილოდ გვეჩვენება. მოვიხმობ რამდენიმე მაგალითს.

„...თუ მაინც რაიმე პროვოკაციას ექნება ადგილი, სრული პასუხისმგებლობა დაეკისრება მხოლოდ და მხოლოდ იმპერიას, მის აგენტურასა და სამხედრო უწყებებს მთელი დემოკრატიული და ცივილიზებული სამყაროს წინაშე, რადგან თქვენ დამპყრობლები და ოკუპანტები ხართ. ამიტომ სჯობია თქვენი მხრიდან ხელშეწყობას ჰქონდეს ადგილი, რათა წარმატებით ჩატარდეს ეს უაღრესად დემოკრატიული ხასიათის განმათავისუფლებელი მნიშვნელობის პოლიტიკური აქცია“.

„ბევრად აჯობებდა, თუ თქვენც და სამხედრო პირებიც მიიღებდით მონაწილეობას ამ ანტიიმპერიულ აქციაში“.

„რაც შეეხება უარის თქმას 23 თებერვლის ღონისძიებაზე, ამის ერთადერთი რეალური შესაძლებლობაა 1991 წლის 23 თებერვლამდე კრემლის ხელმძღვანელობასა და ეროვნული დამოუკიდებლობის პარტიას შორის მოლაპარაკების დაწყება საქართველოს სრული და უსიტყვო დეანექსიისა და დეოკუპაციის საკითხის გარშემო“.

როგორ მოგწონთ, მეგობრებო? წაიკითხავ ასეთ რამეს და მართლა აღარ იცი კაცმა იცინო თუ იტირო. ოკუპანტს, დამპყრობელს და ჯალათს სთხოვ, იქნებ დამეხმარო, როგორმე ხელი შემიწყო შენს საწინააღმდეგო, შენი აქედან გასაძევებლად გამიზნული აქციის რაც შეიძლება წარმატებით ჩატარებაშიო, ეგებ შემეშველო როგორმე, აგრემც ღმერთი შეგეწევაო, როგორია?! ეჰ, ამას ვინღა დაექებს, „უკეთესიც“ რომ არ ეწეროს: მიმართვის ავტორი ზემოხსენებულ აქციაში მონაწილეობის მიღებასაც კი სთავაზობს გენერალ პატრიკეევს მთელი თავისი ამალით!!! ერთი წუთით წარმოვიდგინოთ გენერალი პატრიკეევი თავის ოფიცერთა კორპუსით ამიერკავკასიის სამხედრო ოლქის შტაბის წინ მდგარი, ხელში ტრანსპარანტებით, რომლებზეც წერია: „ძირს რუსეთის საბჭოთა, მოდერნიზებული იმპერია“!“, „რუსო ოკუპანტებო, წაეთრიეთ საქართველოდან!“, „გაუმარჯოს დამოუკიდებელ საქართველოს!“ და ა. შ. ასე რომ ვინმე არაქართველს დაეწერა, გაგიხარია, კარგახანს გვეყოფოდა საოხუნჯოდ, მაგრამ რა გვეხუმრება, როცა ამას წერს ქართველი კაცი და თანაც ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის ერთ-ერთი აღიარებული ლიდერი!

მიმართვის ავტორი აქციის აღკვეთის პირობად მოითხოვს მოლაპარაკების დაწყებას საქართველოს ეროვნული დამოუკიდებლობის პარტიასა და... არც მეტი, არც ნაკლები... კრემლს შორის!

რამდენადაც ვიცით, კრემლი საბჭოთა იმპერიის უმაღლეს სახელმწიფო ხელისუფლებას განასახიერებს. ნებისმიერი სახელმწიფოკი მოლაპარაკებას მართავს სხვა ასეთივე სუვერენულ სახელმწიფოსთან ან მთელი ერის მიერ ნდობის მანდატით აღჭურვილ წარმომადგენლობასთან, მაგრამ არავითარ შემთხვევაში რომელიმე ცალკეულ პოლიტიკურ პარტიასთან თუ ორგანიზაციასთან. სწორედ ამის გამო ითავსებდნენ და ითავსებენ სკკპ გენერალური მდივნები უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის თუ პრეზიდენტის თანამდებობებს. კრემლი ქართველი ხალხის მიერ დემოკრატიული კენჭისყრით არჩეულ ეროვნულ პარლამენტთანაც ვერ და არ პოულობს საერთო ენას და ვის შეიძლება გაუჩნდეს ილუზია, რომ იგი ეროვნული დამოუკიდებლობის პარტიის ლიდერებთან ერთად მიუჯდება მრგვალ მაგიდას?

თავს აღარ შეგაწყენთ. ისევ და ისევ უმორჩილესად გთხოვთ, ძვირფასო თანამემამულენო, ნუ დაუჭერთ მხარს 23 თებერვლის ამ ერის დამღუპველ აქციას, რადგან სწორედ ეს უნდა მოსკოვს ჩვენშიც ვილნიუსის დარი სისხლიანი ვაკხანალიის გასამართლებლად. შევწყვიტოთ მტრის გასაკეთებელი საქმის კეთება; ოდესმე ხომ უნდა დადგეს ეს ბედნიერი დროც!

**ნუგზარ დურმიშიძე**

---

შუახევი აჭარის 2374 14/2 1047

**საქართველოს უზენაესი საბჭოს თავმჯდომარეს**

**ბატონ ზ. გამსახურდიას**

შუახევის რაიონის მშრომელები რესპუბლიკის დღევანდელ რთულ პოლიტიკურ ვითარებაში თვლიან, რომ ნაჩქარევია სამხედრო შტაბების წინ აქციების მოწყობა, რაც კიდევ უფრო გაამწვავებს ვითარებას ცენტრთან.

მიგვაჩნია, რომ რესპუბლიკაში მოქმედმა ყველა პოლიტიკურმა პარტიამ და ორგანიზაციამ უნდა გამოხატოს ხალხის მიერ არჩეული ეროვნული პარლამენტის ნება, მხოლოდ მასთან თანადგომით მივაღწევთ სანუკვარი ოცნების ასრულებას.

ტექსტი მიღებულია შუახევის კოლმეურნეობის წევრთა საერთო კრებაზე 1991 წლის 13 თებერვალს.

კრების დავალებით კოლმეურნეობის თავმჯდომარე
**მ. ა. დავითაძე**

---

დეპეშა შუახევიდან 2/54 55 14/02 1216 — სასწრაფო

**საქართველოს უზენაესი საბჭოს თავმჯდომარეს**

**ბატონ ზვიად გამსახურდიას**

ასლი

**საქართველოს ტელევიზიის მოამბის რედაქციას**

შუახევის რაიონის მრავალათასიანი პროფკავშირის წევრები მოითხოვენ ყველა პარტიებისაგან დაუყოვნებლივ წინ აღუდგნენ და შეაჩერონ სამხედრო ნაწილებთან ყოველგვარი აქციების მოწყობა, მხარი დაუჭირონ საქართველოს უზენაესი საბჭოს გადაწყვეტილებებს.

მათი დავალებითა და სახელით შუახევის მეურნეობისა და გადამამუშავებელი მრეწველობის მუშაკთა პროფკავშირის შუახევის რაიონული საბჭოს თავმჯდომარე
**შოთა ცეცხლაძე**





# ჟურნალისტური ისტერია საქართველოს წინააღმდეგ...

**ახლა**, როცა მთელი რუსეთი სოციალიზმის საწინააღმდეგო აზრითაა შეპყრობილი, როცა ფერმწერები ბელადების კარიკატურებს, პოეტები შარჟებს, ხალხი ანეგდოტებს მხოლოდ გორბაჩოვზე თხზავს, იქ, რუსეთში, მაინც არ ესმით ჩვენი, მაინც არ შეუძლიათ გაიგონ რისთვის ვიბრძვით, რას მოვითხოვთ, რისკენ მივისწრაფით. უფრო მეტიც, ალარავისთვისაა ახალი ამბავი იმის ალიარება, რომ ქართველებს ფაშისტებად, სისხლის მსმლელებად გვსახავენ. ამდენად კარგად მუშაობს ცენტრის საინფორმაციო საშუალებები, ასე კარგად ართმევს თავს დაკისრებულ მოვალეობას. ცხადია, შიმშილისაგან გამწარებულ, დემოკრატიულად განწყობილ რუსებსა და ქართველებს შორის საერთო აზრი არ უნდა არსებობდეს, კრემლს ეს დაანგრევდა, მოსპობდა, ამიტომაც მშვენივრად იცავს თავს ცრუ ინფორმაციებით, ერებს შორის სიძულვილის ღალვივებით, შავზე თეთრის დარქმევით და თეთრის შავად მოჩვენებით. სხვაზე რა გვითქმის და თავად ჩვენს თანამემამულეთა შორის, რომლებიც სამშობლოდან შორს არიან, სრულიად აშკარად ორი ტიპი ჩამოყალიბდა. ერთი — რომელსაც სჯერა კრემლის აგენტურის მონათხრობის და მეორე — რომელსაც ყოველი უსამართლო ფრაზა, ცილისწამება უზარმაზარ ტკივილს აყენებს, ლამეებს ატეხინებს, სამართალს აძებნინებს, თუმცაღა ამაოდ.

მოსკოვში ჩვენი სტუმრობის მიზანიც ეს იყო. შევხვედროდით იქ მცხოვრებ ქართველებს, გვესაუბრა მათთან, გაგვეზიარებინა მათი აზრი, რათა ერთად შევეჭიდოთ სირთულეებს. თუმცა კომენტარებისაგან თავს შევიკავებთ, სჯობს თავად ჩვენს თანამოსაუბრეს, ქართველთა სათვისტომოს ერთ-ერთ წევრს ბატონ **ლევან ფესვიანიძეს** მოვუსმინოთ:

● მოგეხსენებათ, როგორი მეთოდებით მუშაობს ცენტრალური ტელევიზია, პრესა; რამდენ ყალბ, დაუსაბუთებელ, შეთხზულ ამბავს აწვდიან საზოგადოებას. განსაკუთრებით აქტიურად გაიშალა ეს კომპანია ოსებთან დაკავშირებით. ახლა ალოგიკური ფაქტებით სპეკულირებენ. აჩვენებენ სიცივისაგან შეწუხებულ მოზარდებს, აღწერენ რომ შიმშილობაა, მაგრამ იმას არავინ ამბობს, რატომაა დენი გამორთული. შინაგან საქმეთა სამინისტროს ჯარების ერთ-ერთ ოფიცერს წამოსცდა, რომ ბანდიტები ორივე ეროვნების წარმომადგენელთა შორის არსებობენო, ბანდიტიზმი ნაციონალურ ხასიათს არ ატარებს, მათთვის სულ ერთია ვის გაძარცვავენ, ქართული მილიცია ვერ ბედავს მათთან შებრძოლებას, არადა ჩვენ არა გვაქვს უფლება, თორემ წესრიგს ორ საათში დავამყარებდითო. თურმე ქართველი მილიციონერები არიან ლოთები, ლაჩრები, მძარცველები, თურმე დღე და ღამე იმას ფიქრობენ, ბავშვები დაიჭირონ, მოხუცი მიაძაღლონ და ქალი გააუპატიურონ. საშინელებაა, ბავშვს რომ ცივა და შია, მაგრამ ერთი წლის უკან ქართველი ბავშვი აკვანში რომ დაცხრილეს ოსებმა, რატომ არც ერთმა რუსმა დემოკრატმა ხმა არ ამოიღო ამის შესახებ? მოსკოვიდან აგზავნიან კორესპონდენტებს, რომლებიც ერთი თვალით ბრმები არიან და ერთი ყურით ყრუები. ჩვენა ვართ გარეწარი ხალხი, ლოთები — ეს სიტყვა განსაკუთრებულად მოსწონთ რუსებს, მაშინაც, 9 აპრილის ღამეს, მოშიმშილეებს ბორჯომი რომ მოუტანეს, რუსებმა ავტომატურად დაადგინეს, რომ, რადგანაც ღამეა, რადგანაც თეთრი სასმელი მოიტანეს, ეს სხვა რა უნდა იყოს, თუ არა არაყი. ისიც არ აციან, რომ აპრილში არც ერთი ქართველი არაყს არ დალევს, იმიტომ რომ საკმაოდ თბილა უკვე და რომ მოშიმშილისთვის არყის დალევა სიკვდილის ტოლფასია; რუსეთში შავზე თეთრის დარქმევა ჩვეულებრივ ამბად იქცა „Московский Комсомолец“-ში ასეა „გაშუქებული“ ქართველთა სახლების დაწვის ამბავი: თურმე ეს თვითონ ქართველები წვავენ საკუთარ სახლებს, რომ მერე დააბრალონ „საცოდავ“ ოსებს, ამით გამოიწვიონ ნაციონალური შუღლი და რაც შეიძლება მეტი „უბედური“ ოსი დახოცონ. თურმე „პატიოსანი“ ოსები ქართველების სახლებს იცავენ, რომ თავად ქართველებმა ცეცხლი არ მოუკიდონ მას. ყველაზე დიდი უბედურება ის არის, რომ ჩვენ არ შეგვიძლია დავამტკიცოთ ეს ტყუილია თუ მართალი, არასოდეს გვაქვს ხელთ ვიდეოინფორმაცია პროკურატურისაგან ხელმოწერილი დოკუმენტები. ამის გამო, მოსკოვის ქართველთა სათვისტომოს დარბაზის კრებაზე დაიწერა წერილი, რომელიც გაეგზავნა საქართველოს რესპუბლიკის უზენაეს საბჭოს, საქართველოს პროკურატურას და შინაგან საქმეთა სამინისტროს. წერილს ხელი მოაწერა სათვისტომოს პრეზიდენტმა ბატონმა ავთანდილ ქორიძემ, ამ წერილში თხოვნით მივმართავთ საქართველოს მთავრობას — **რესპუბლიკის უზენაესმა საბჭომ, პრესცენტრმა, პროკურატურამ, შინაგან საქმეთა სამინისტრომ და საქართველოს უშიშროების კომიტეტმა უნდა გამოაგზავნონ თავიანთი თანამშრომლები მოსკოვში. ეს უნდა იყოს ოფიციალური, წარმომადგენლობითი დელეგაცია. სასურველია, დელეგაციაში იყოს ერთი ან ორი პარლამენტის წევრი, აუცილებლად უნდა იყვნენ ჟურნალისტები, ისტორიკოსები, პროკურატურის წარმომადგენლები.**

**ისტორიკოსი მზად უნდა იყოს პასუხის გასაცემად ქართულ-ოსური, ქართულ-აფხაზური, ქართულ-რუსული ურთიერთობების შესახებ და უნდა იყოს შეიარაღებული გარკვეული დოკუმენტებით. მჯერა, დარბაზში არაერთი პროვოკატორი იქნება, რომელიც უამრავ პროვოკაციულ კითხვას დასვამს და ჩვენ მზად უნდა ვიყოთ ამისათვის. უნდა გვქონდეს აუცილებლად ვიდეო-ფოტო-კინო დოკუმენტები ცხინვალში მომხდარი ამბების შესახებ იმიტომ, რომ თქვენც კარგად ხედავთ რას აკეთებს ყველაზე „დემოკრატიული“ გადაცემა „TCH“. აუცილებლად უნდა იყოს ამონაწერები სისხლის სამართლის საქმეებიდან, რომელიც დაკავშირებულია ცხინვალის ამბებთან, ქართული პრესის მასალები აქ არავის აინტერესებს იმ..., რომ ხალხმა დაკარგა სინდისი და ყველა ფაქტის უარყოფა და გაყალბება შეუძლიათ; შეუძლიათ გითხრან, რომ ეს არის მოგონილი, რომ ასეთი პიროვნება საერთოდ არ არსებობს, მაგრამ იმას რასაც აქვს პროკურატურის, საგამომძიებლო ორგანოების ბეჭედი, ასე ადვილად მაინც ველარ გააყალბებენ. ჩვენ უნდა შევძლოთ სიტყვების ფაქტებით დამტკიცება.**

გარდა ამისა, უნდა იყოს საქართველოს რესპუბლიკის ბოლო მოწვევის უზენაესი საბჭოს ყველა დადგენილებების სია, ზუსტი ქრონოლოგიით, რადგან სათვისტომოში ჩვენ ეს სია არა გვაქვს და ქრონოლოგია ძალზედ მნიშვნელოვანია, რა რის შემდეგ, რატომ და როდის მივილეთ. რა თქმა უნდა, ძალზედ საჭიროა შიდა ქართლში მოვლენების განვითარების მთელი ისტორია. ასეთია ამ წერილის მოკლე შინაარსი. ქართული სათვისტომო თავის თავზე იღებს წარმომადგენლობითი პრესკონფერენციის მოწყობას, აქ მოწვეული იქნებიან უცხოელი ჟურნალისტები, საბჭოთა დემოკრატიული პრესის წარმომადგენლები, მე შეიძლება ვცდები, მაგრამ რას დაწერს, რა არგუმენტებიც არ უნდა მოუყვანო, „Советская Россия“ ჩემთვის დღესავით ნათელია. ამ გაზეთისთვის არც ფაქტებია საჭირო და არც მომზადება, მთავარია სიძულვილი გქონდეს რომელიმე ერისა, დანარჩენი ფანტაზიაზეა დამოკიდებული ამიტომ, ჩვენ უნდა ვცადოთ ჩვენი სატკივარი ფართო საზოგადოებას ვამცნოთ. პრესკონფერენცია უნდა ჩატარდეს საქართველოს მუდმივ წარმომადგენლობაში და არა სათვისტომოს ტერიტორიაზე იმიტომ, რომ ამ შემთხვევაში შეხვედრას უფრო ოფიციალური სახე მიეცემა. მე შეიძლება ვამუქებდე, მაგრამ ჩემი აზრით, ეს კომპანია, რომელშიც ასეა ჩათრეული დემოკრატიული პრესა, მიმართულია იმისაკენ, რომ საქართველოში უახლოეს ხანებში გამოცხადდეს პრეზიდენტის მმართველობა. ეს რასაც გამოიწვევს, მე მგონი ყველასათვის მეტ-ნაკლებად ცხადია, პრესის არტმომზადება სწორედ ამ ვარიანტის მცდელობის ერთ-ერთი საფეხურია — ჭუჭში გასვარონ მთელი ერი, რომ მერე, როგორც ცხრა აპრილის შემდეგ გვეუბნებოდნენ ქართველებს, «Вас мало убивают, больше надо убивать», — ეს ათქმევინონ ხალხს, ანდა ბაქოს ტრაგედიის შემდეგ, მოსკოვში არავითარი გამოსვლა, თანაგრძნობის მანიფესტაცია არ მოწყობილა, რადგანაც ძალზე კარგად ჩაატარა კრემლმა ანტიაზერბაიჯანული აგიტაცია. იგივე ხდება ჩვენს წინააღმდეგ, ოღონდ უფრო დიდი მასშტაბით, შექმნილია ისტერია, რომ თუ პატიოსანი რუსი ერი არ ჩაერია, გარეწარი ქართველები დახოცავენ ოსებს, რომ იქ რუსის თვრამეტი წლის ბიჭები მიდიან ჯარისკაცის ჩვეშ და ებრძვიან ქართველ „ბოევიკებს“.

უნდა ვაღიაროთ, რომ ქართველები ძალზედ არაორგანიზებული ხალხი ვართ, ნაწილობრივ ჩვენი ბრალიცაა, რომ ინფორმაცია ოპ-

# დერჟავნიკული შუბი დემოკრატიულ ხალთაში

რა განსხვავებაა რუს დემოკრატსა და რუს „დერჟიმორდას“ შორის? რა და... არაფერი! ორივე „დერჟავნიკია“, იმპერიალისტი (ერთიორ აფანასიევს თუ არ ჩავთვლით). არა გვგონია, ეს განცხადება რაიმე მტკიცებას საჭიროებდეს, მაგრამ ჩვენთან სასწაულად თუ კიდევ დარჩა ვინმე მიამიტი, გადაშალოს დემოკრატიულ-ლიბერალური „მოსკოვსკიე ნოვოსტი“, „მეგაპოლის- ექსპრესი“, სამხედრო-პატრიოტული „კრასნაია ზვეზდა“ და ნახოს, რას წერენ ეს „ანტაგონისტი“ გაზეთები შიდა ქართლის მოვლენებზე.

„კრასნაია ზვეზდამ“ 1991 წ. 9 თებერვლის ნომერში დაბეჭდა ვიაჩესლავ ლუკაშევიჩის წერილი, რომელიც იწყება ემოციური აღწერით — ცხინვალიდან გაქცეული ოსები ყელამდე თოვლში მიიკვლევენ გზას და თან მიაქვთ გაზეთები დაღუპული ნათესავების ნეკროლოგებით. საყოველთაო მწუხარებაა, საყოველთაო გლოვაა! ამავე დროს, გაზეთი საერთოდ არაფერს წერს ქართველებზე, მკითხველმა უნდა იფიქროს, რომ მხოლოდ ოსებს კლავენ. მაგრამ ავტორი, რაც მთავარია, ცხინვალის მოვლენებს ბალტიისპირეთში მომხდართან აიგივებს! სულაც არ აინტერესებს, რომ იქ არმიამ ხალხზე მიიტანა იერიში კანონიერი მთავრობის დამხობის მიზნით, ცხინვალში კი პირიქით, ადგილობრივმა ტერორისტებმა ომი გამოუცხადეს კანონიერ მთავრობას! ავტორის განცხადებით, სამხრეთ ოსეთში სამოქალაქო ომია, ადგილობრივი მოსახლეობა მზადაა მუხლებზე დაემხოს, ოღონდ ჯარისკაცებმა არ ესროლონ. ისმის კითხვა, რას აკეთებს იქ არმია, რისთვისაა?!.. უნდა აღინიშნოს, სიტყვა „ბოევიკს“ ავტორი ოსების მისამართით არ ხმარობს.

კორესპონდენტი წერს: „მე ქართული მიწის გაყოფის მომხრე არა ვარ, ისევე როგორც არ ვარ მომხრე კავშირის დაქუცმაცების, მე პრეზიდენტის მხარეზე ვარ, რომელმაც ოთხშაბათს დაადასტურა, რომ გაყოფა, თუ ილუზიების გარეშე ვიაზროვნებთ, შეუძლებელია“.

ერთი შეხედვით, უცნაურია, სამხედრო გაზეთი აღიარებს, რომ სამხრეთ ოსეთი საქართველოს ნაწილია, მაგრამ ამ აღიარებას თავისი ვერაგული მიზანი აქვს — ქართველები უნდა მიხვდნენ, თუ დამოუკიდებლობისთვის ბრძოლაზე უარს იტყვიან, ყველაფერი მყისვე მოგვარდება, ოსები იარაღს დაყრიან, „სამოქალაქო ომი“ შეწყდება.

მაგრამ „კრასნაია ზვეზდა“ ამას არ სჯერდება, სურს გენერალ როდიონოვს ნამუსი (არარსებული!) მოწმინდოს, მიანიშნებს, რომ სამხრეთ ოსეთის დღევანდელი მოვლენები ამართლებენ მის მოქმედებას 9 აპრილს. გამოდის — მაშინ გენერლისთვის ქართული ოპოზიციური მოძრაობის ბოლომდე განადგურების საშუალება რომ მიეცათ, დღეს ცხინვალში სიმშვიდე იქნებოდა!

წერილში უამრავი ტყუილი და დეზინფორმაციაა. ერთ-ერთია — სამხრეთ ოსეთში ცენტრალური გაზეთების კორესპონდენტები ვერ ჩადიანო. საინტერესოა, მაშ რა სასწაულით მოხვდა იქ „მეგაპოლის ექსპრესის“ კორესპონდენტი ანდრეი პრალნიკოვი, რომელმაც 1991 წ. 31 იანვრის ნომერში გამოაქვეყნა წერილი „ცხინვალი ბეირუთის აქცენტით?“

ეს წერილი თავისი სიყალბით „კრასნაია ზვეზდაში“ დაბეჭდილის ტყუპისცალია. ერთადერთი განსხვავება, ალბათ, ადრესატშია. „მეგაპოლის-ექსპრესი“ დასავლეთს აშინებს — თუ საბჭოთა კავშირის დაშლას დაუშვებთ, ასობით და ათასობით ახალ ბეირუთს მიიღებთო! ავტორს არ აინტერესებს, რომ ნამდვილ ბეირუთში ერთმანეთს ებრძვიან ერთი ეროვნების, ერთ ენაზე მოლაპარაკე ადამიანები, რომ კონფლიქტის მიზეზი რელიგიური და სოციალურ-პოლიტიკურია, ცხინვალში კი დამოუკიდებლობისთვის მებრძოლ ხალხს იმპერიის აგენტები ზურგში დანას ურტყამენ.

წერილის დიდი ნაწილი ეთმობა განცხადებებს, რომ თურმე, ქართველებს უნდათ ოსებს რუსული ანბანი ქართულით შეუცვალონ, რომ ქართველები მოითხოვენ, რესპუბლიკიდან წავიდეს ყველა ოსური ოჯახი, სადაც ორ ბავშვზე მეტია და, რაც მთავარია, თურმე აიძულებენ ოსებს მშობლიური კუთხე სამუდამოდ მიატოვონ, როგორც ფერგანაში მოხდაო. ეს ბოლო ტორეზ კულუმბეგოვის ნათქვამია. ავტორი ამ განცხადებებს არავითარ კომენტარს არ უკეთებს, ყველაფერს „იჯერებს“.

შემდეგ დაცინვით წერს ქართულ მილიციაზე, ლოთობენ, დისციპლინას არ იცავენ, ჯარი ერთი დღე-ღამით ცხინვალიდან რომ გავიდეს, ოსი მებრძოლები ქართულ მილიციას უმალ გარეკავენო (სიტყვა „ბოევიკს“ ოსების მისამართით არც ეს „ლიბერალური“ გაზეთი ხმარობს). იქვე ავტორი აღწერს იმ ზარალს, რომელიც, თურმე, ქართულმა მილიციამ ქალაქს მიაყენა — დარბეულიაო სასამართლოს შენობა, კავშირგაბმულობის პუნქტი, შერყვნილიაო „მარადიული“ ცეცხლი, ნაცემიაო ხალხი — და გაუგებარი ხდება, რას უყურებდნენ „გულადი“ ოსი მებრძოლები, ან სად იყო „მშვიდობისმყოფელი“ საბჭოთა არმია. შემდეგ მოყვანილია ოფიცრის განათქვამი, ჩვენ ქუჩების პატრულირებას ვახდენთ, მაგრამ შოვლენებში არ ვერევით, რადგან კონკრეტული ბრძანება არა გვაქვსო. ეტყობა, სწორედ ამაში მდგომარეობს პოლიტიკა, რომლის მიზანია ცხინვალი ბეირუთად წარმოადგინოს.

ასევე ტენდენციური და ყალბია „მოსკოვსკიე ნოვოსტის“ 1991 წლის მესამე ნომერში დაბეჭდილი წერილი, რომლის ავტორია ანდრეი კოლესნიკოვი. აქაც, საბჭოური პრესის წესისა და რიგის მიხედვით, ოს ტერორისტებს „ბოევიკებს“ ვერ ჰკადრებენ, უწყინარ „ნასელენიედ“ მოიხსენიებენ.

ავტორი ჟურნალისტის „შედევრს“ ქმნის, როდესაც წერს — „ბოლო ასეის ქართული სკოლის შენობას და არავინ იცის, ვინ მოუკიდა მას ცეცხლი“.

ეტყობა, მკითხველი უნდა მიხვდეს, ქართველმა უჭკარა ბავშვებმა საკუთარი სკოლა თვითონ დაწვეს, აბა, ოსი „ნასელენიე“ ამას როგორ გაიმეტებდა გულში!

შემდეგ კორესპონდენტს მოჰყავს ოსების მონათხრობი — რა მხეცურად ექცევიან მათ ქართველი მილიციელები, როგორ სცემენ და აწვალებენ!

ქართველების აზრი, „მოსკოვსკიე ნოვოსტის“, რატომღაც არ აინტერესებს...

კიდევ კარგი, დერჟავნიკული შუბი დემოკრატიულ ხალთაში არ იმალება, მაგრამ მაინც გასაოცარია, როგორ აჯერებენ რუსი „დემოკრატები“ საკუთარი თვალის ისე დაბრმავებას, შუბს პალმის რტოსგან ვეღარ არჩევენ. თუმცა, არა, თვალს კი არ იბრმავებენ, ჩვენ გვატყუებენ.

განა საოცარი არ არის მართლა, „მოსკოვსკიე ნოვოსტის“ იმავე ნომერში დაბეჭდილია ლევ კარპინსკის წერილი, რომელიც მშვენივრად ხსნის საბჭოთა კავშირში ეთნოკონფლიქტების წარმოქმნის მიზეზს.

„ის, რაც ბალტიისპირეთში ხდება — მთელს ქვეყანაში ტოტალიტარული სისტემის ძალადობით შენარჩუნებაა, ყველა რესპუბლიკის სისტემური ერთიანობის კონსერვაციაა, რესპუბლიკებისა, რომლებიც ერთმანეთთან დაკავშირებულნი არიან არა კეთილი ნებით, არამედ ცენტრის ძალაუფლებით... თუ ყურადღებით განვიხილავთ, რასაც ჩვენთან „ეროვნულ ნიადაგზე“ შეტაკებებს ეძახიან, ყოველ ჯამზოდში ცენტრის მოქმედებას ადვილად შევნიშნავთ...“

რით შეიძლება აიხსნას ამ ორი წერილის გვერდიგვერდ, ერთ ნომერში არსებობა, თუ არა რუსი დემოკრატების „უნებლიე“ სიბრიყვით?! ან რად ღირს კარპინსკის განცხადება — „რაც მოხდა ბალტიისპირეთში, მიმართულია რუსეთის წინააღმდეგ“. არაა გადასარევი?! არა ლიტვის, არა ლატვიის, არამედ რუსეთის წინააღმდეგ!

ჩვენი აზრით, კარპინსკის წუხილს რუსეთის მომავალზე აზრი ექნებოდა, გვერდს კოლესნიკოვი რომ არ უმშვენებდეს... მაგრამ რას იზამ, ერთად არიან, რუსი „დემოკრატი“ და რუსი დერჟიმორდა...

**ირაკლი დზეზუაძე**

**P.S.** ყველაფერს წერტილი დაუსვა 20 თებერვლის „იზვესტიამ“. პირველ გვერდზე დაბეჭდილია ქართველი ხალხის, ინტელიგენციისა და მთავრობისადმი მიმართული წერილი სათაურით „ბლოკადის მარწუხებში“. წერილის ტონი მავედრებელია, ავტორები: დ. ლიხა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ერატიულად არ მოდის მოსკოვში; სათვისტომოში ხომ შეიძლება შეირჩეს პიროვნება, რომელსაც მეტ-ნაკლებად დრო აქვს, ვუყიდოთ დიქტოფონი ჩვენივე თანხებით რომ მოხერხდეს სატელეფონო ინფორმაციის ჩაწერა ფირზე (მე მგონი არ გაგვალარიბებს, თუ ეს ადამიანი ინფორმაციის შეკრებაში მიიღებს ხელფასს; ეს იქნება მისი ძირითადი საქმიანობა). ამგვარი სამსახური უნდა იყოს საქართველოს მუდმივ წარმომადგენლობაში, როგორც აქვს მოწყობილი ბალტიისპირეთს. ლიტვის ამბების დროს, ინფორმაცია მოდიოდა უაღრესად ოპერატიულად. ყოველ ორ საათში მივდიოდით ლიტვის საელჩოსთან, გამოდიოდა კაცი და უკანასკნელ ცნობებს გვაწვდიდა, ყოველი ორი საათის შემდეგ ახალ და ახალ ცნობებს ვიღებდით. შემდეგ ეს ინფორმაცია მიჰქონდათ რადიოსადგურის „Эхо Москвы"-ის კორესპონდენტებს. და მთელი ღამის განმავლობაში გადმოსცემდნენ სიმართლეს. ჩვენ რატომღაც ამის ორგანიზაცია ვერ შევძელით: ლიტვაში წინა დღით მომხდარ ამბებს, მეორე დღეს ვიდეო ჩანაწერებით გვაჩვენებდნენ მოსკოვში. რამდენიმე თვეა ცხინვალში სისხლისღვრაა, ჩვენ ერთხელაც არ გვინახავს, ვიდეო-ინფორმაცია ამ ამბების შესახებ. ჩემი ძმა მივიდა თბილისის ტელევიზიაში და მოითხოვა ჩანაწერები, მაგრამ ასეთი პასუხი მიიღო: ჩვენ კასეტები არ გვყოფნის და ამ მასალებს ვერ ვინახავთო. ან საბოტაჟია საქართველოს ტელევიზიაში, ან არადა არ ვიცი, რა დავარქვა ამ ფაქტს. აუხსნელი ამბავია ჩემთვის ასეთი ქრონიკის განადგურება. ნუთუ ტელევიზია იმდენად ღარიბია, რომ კასეტები ვეღარ შეიძინა უცილებელი დოკუმენტებისათვის. კი ბატონო, კრავჩენკო არასოდეს გაუშვებს სიმართლეს საქართველოზე, მაგრამ არსებობს ისევ „Эхо Москвы", სადაც მითხრეს, მოგვაწოდეთ ინფორმაცია და ჩვენ გავავრცელებთო, არსებობენ გაზეთები, სადაც ასევე დაგვპირდნენ, მოგვიტანეთ მართალი ცნობები და დავბეჭდავთო...

იქნებ გვეცადა ბედი.

**ირმა კახნიაშვილი**

---

ჩოვი, ი. შკლიარევსკი, ნ. მიხალკოვი, მ. დუდინი, რ. ბოროდულინი, ა. პრისტავკინი გვთხოვენ, გვემუდარებიან მოგვეხსნათ „სიცივისა და შიმშილის ბლოკადა სამხრეთ ოსეთს" (ყურადღება მიაქციეთ „სამხრეთ ოსეთი", არც ოლქი, არც რესპუბლიკა!). „ნუთუ ჩვილი ბავშვის გამჭირვალე ცნობიერებაში იჩხუბებენ ერები და თავიდანვე ჩაისახება მტრის ხატი, რამაც სულიერ ობლობამდე მიგვიყვანა ჩვენ?" — რიტორიკულ კითხვას სვამენ წერილის ავტორები.

შემდეგ ოსებსაც ევედრებიან „სიკეთის პირველ ნაბიჯს სიკეთითვე უპასუხონ".

წერილის დასაწყისში კი „პატივს მიაგებენ" „ქართულ კულტურას, გენიალურ ხუროთმოძღვრებას და დიდებულ ქართველ პოეტებს, მის ტრადიციებსა და სტუმართმოყვარეობას" და რატომღაც გვერდს უვლიან ერთ პროზაულ საკითხს — საქართველოს ისტორიულ გეოგრაფიას, მის მიწას.

ომი იმით არის საშინელი, რომ ნგრევას, შიმშილს, ტკივილს იწვევს, მაგრამ ზოგადი „ჰუმანისტური" ფრაზები ვერ წაშლის უტყუარ ჭეშმარიტებას — საქართველო არ დათმობს საკუთარი მიწის არც ერთ მტკაველს!

იმავე გაზეთის მესამე გვერდზე დაბეჭდილია ჟურნალისტ ბ. ურიგაშვილის კორესპონდენცია „სროლები თბილისში". აღწერილია შავნაბადაზე მომხდარი ინციდენტი, გადმოცემულია, ერთის მხრივ, საქართველოს პარლამენტის მიერ მოწყობილი და, მეორეს მხრივ, „მხედრიონის" დასაცავად გამართული მიტინგების სულისკვეთება. შემდეგ კი ვკითხულობთ: „მხედრიონი" მკვეთრად გამოხატული ანტიკომუნისტური და ანტისაბჭოთა ორგანიზაციაა, ამავე დროს ის გამოდის საქართველოს პარლამენტის ამჟამინდელი ხელმძღვანელების წინააღმდეგ".

კატეგორიულად ვაცხადებთ, რომ „მხედრიონის" ანტიკომუნისტურ და ანტისაბჭოთა საქმიანობას ქართველი ხალხი ვერც ხედავს და ვერც გრძნობს. ხოლო რაც შეეხება მათი ლიდერების წარსულ მოღვაწეობას, ამას, ალბათ, ოდნავ სხვა კვალიფიკაცია უნდა მიეცეს...

# ღია წერილი

## საქართველოს „დამოუკიდებელი" კომპარტიის ახალ პირველ მდივანს

თქვენ საშინელი და ფრიად სამარცხვინო ხვედრი გერგოთ — ლიდერობა პარტიისა, რომლის წევრებიც განსაკუთრებული სისასტიკითა და სიშმაგით სწორედ იმ ერებს ებრძვიან, რომლის წარმომადგენლებიც თავად არიან. კომუნისტურმა ურჩხულმა მსოფლიოს დიდი ნაწილი შთანთქა და ყოველივე ეს სწორედ იმ ქვეყნის „შვილების" ხელით მოიმოქმედა, რომელიც ააოხრა. ეს აქსიომატური ჭეშმარიტებაა. ამაზე კამათიც უაზრობაა.

შეგახსენებთ თქვენივე არცთუ შორეულ წარსულს. იმისდა მიუხედავად, რომ კომუნისტები იმთავითვე ეროვნული ნიშნით გაერთიანების წინააღმდეგნი იყვნენ, რკპ(ბ) ცენტრალური კომიტეტის 1920 წლის 8 აპრილის გადაწყვეტილებით ქართული ბოლშევიკური ორგანიზაცია 1920 წლის მაისში გაფორმდა, როგორც საქართველოს კომუნისტური პარტია. ასეთივე წესით შეიქმნა კომუნისტური პარტიები სომხეთსა და აზერბაიჯანში. შედეგმაც არ დააყოვნა — იმავე წლის აპრილში წითელი არმია შევიდა აზერბაიჯანში, ხოლო სომხეთი ნოემბერში დაიპყრო.

1921 წლის თებერვალში საქართველოს კომუნისტებმა შექმნეს რევოლუციური კომიტეტი (რევკომი), რუსეთის XI არმიასთან ერთად სისხლში ჩაახშეს ქართველი ხალხის წინააღმდეგობა და ასე ჩაიგდეს ხელში ძალაუფლება.

შემდეგ მოსპეს ქართული არისტოკრატია და სამღვდელოება, მოსრეს ეკლესიები, ტაძრები, გაანადგურეს ქართული კულტურა და ტრადიციები. რაც მთავარია, ეცადნენ მეხსიერება ჩაეკლათ და ღირსება წაერთმიათ მთელი ერისთვის — დაპყრობას ურცხვად დაარქვეს განთავისუფლება და წლების მანძილზე გვაზეპირებინებდნენ სკოლაში „25 თებერვალი გათენდება ხვალ, თებერვალო საქართველოს გაზაფხული ხარ!"

ამ შავბნელ საქმიანობას დღესაც განაგრძობთ ქართველი გულმხურვალე კომუნისტები. უტიფრად, უსინდისოდ აცხადებთ, თითქოს კომუნისტებმა საქართველოს სიკეთე მოუტანეთ, რაღაც ილუზორულ „ახალ" საქართველოზე და მის „მიღწევებზე" ლაპარაკობთ.

საქართველო თქვენ მართლაც ვერ აღგავეთ პირისაგან მიწისა. ამის ძალა თქვენს სატანურ მოძღვრებასაც არ აღმოაჩნდა. ოღონდ, თქვენ შეგნებულად კი არ ცდილობდით ქვეყნისთვის სიკეთის მოტანას, რის დამტკიცებასაც ახლა ცდილობთ, არამედ, სადაც თქვენი ბინძური ხელი ჯეროვნად ვერ მისწვდა, იქ საქართველოს შემოქმედებითი ენერგია გამოვლინდა, თქვენმა სიბნელემ სრულად ვერ მოიცვა საქართველო (და ვერც ერთი სხვა ქვეყანა!), ის მცირედი, რაც გადარჩა, თქვენ გადაგირჩათ. თქვენ შექმენით შეცვლილი სახელების, მრუდე სარკეების სამყარო და ახლაც ამ ნაცად ხერხს მიმართავთ — რაც **გადაგირჩათ**, გსურთ საკუთარ **მიღწევად წარმოაჩინოთ**. ძალა არ შეგწევთ, რომ აღიაროთ — **თქვენ სრულად ვერ დაიმორჩილეთ საქართველო**, თუმცა, სულიერად და ფიზიკურად აოხრეთ იგი.

ყველა ბუნებრივი მონაცემით საქართველო დღეს იქნებოდა მსოფლიოს ყველაზე განვითარებული ქვეყნების დონეზე. მაგრამ თქვენ გადაგვიკეტეთ ეს გზა და ახლა თავხედურად, ლამის არის ტროლეიბუსის არსებობა მიითვალოთ მიღწევად. სამეცნიერო დაწესებულებების სიმრავლეზე ლაპარაკობთ და არ გინდათ აღიაროთ, რომ მეცნიერება მხოლოდღა იქ შემოგვრჩა, სადაც თქვენ მიერ შობილმა უმეცარმა და უწიგნურმა აკადემიკოსებმა ვერ შეაღწიეს; და ასე უკლებლივ ყველა სფეროში.

თქვენ, ამხანაგო პირველო მდივანო, ან შუბლგახსნილი მარქსისტ-ლენინელ-სტალინელი ხართ, ან ამჟამად მოდური, „არაორთოდოქსული" ტიპი კომუნისტისა — პოეზიის ტრფიალი, ნატიფი ხელოვნების თაყვანისმცემელი, მანდილოსანთა ხელზე ამბორის არმოშურნე, ანდა, არანაკლებ მოდური, მომღერალ-მოქეიფე-მოშაირე, პატიაშვილისეული თბილისელი „კაი ბიჭი". როგორიც არ უნდა იყოთ და როგორი ნიღაბიც არ უნდა გაიკეთოთ, გჯეროდეთ — თქვენ დინების საწინააღმდეგოდ ცურავთ და მომავალი არ გაქვთ!

მიამიტობა იქნებოდა მოგვეწოდებინა, დაშალოთ კომპარტიის საქართველოს ფილიალი. რაკი აქამდე მანდ დგახართ და პირველობასაც მიაღწიეთ, ამის უნარი თქვენ არ შეგწევთ. მაგრამ გაფრთხილდით, თქვენს სახელს სალანძღავად ნუ დაუტოვებთ ქართველ ხალხს!

---

# შეხვედრა ყოფილ „იმელში"

**20 თებერვალს ყოფილ მარქსიზმ-ლენინიზმის ინსტიტუტის შენობაში გაიმართა ინტელიგენციისა და ეროვნული კონგრესის წარმომადგენელთა შეხვედრა. შეხვედრაზე განიხილეს შავნაბადაზე ამ დღეებში მომხდარი ინციდენტი. შეხვედრის მთავარი მიზანი გახლდათ ინტელიგენციის დახმარებით კონგრესსა და უზენაეს საბჭოს შორის საერთო ენის გამონახვა. ამ საკითხებთან დაკავშირებით, ჩვენი გაზეთის დღევანდელ ნომერში გთავაზობთ თათბირის მონაწილეთა შეხედულებებს. მასალა მოგვაწოდა ჩვენი გაზეთის კორესპონდენტმა თამთა ცეცაძემ.**

### ილია ხაინდრავა

ჩემის აზრით ყველაზე საგანგაშო იყო ის, რაც მოხდა პრესისა და ინფორმაციის საკითხებთან დაკავშირებით, დაიხურა გაზეთი „Молодежь Грузии", რომელსაც დასწამეს არადემოკრატიულობა. თუ ეს გაზეთი იყო ანტიდემოკრატიული, მაშინ მივდივართ იმ დასკვნამდე, რომ როდიონოვის ჯარისკაცები იცავდნენ დემოკრატიას, როცა არბევდნენ ამ გაზეთს. საზიზღრობაა პრესცენტრის ის პატარა განცხადება, გაზეთის დახურვასთან დაკავშირებით. შემდეგ, ტელევიზიის ხელმძღვანელობის განცხადება, რომ საეთერო დრო აღარ დაეთმობა ოფიციალური თვალსაზრისისაგან განსხვავებულ სხვა განცხადებებს, თუნდაც ის ომი, რომელიც გაუმართეს კინოსტუდია „ქართულ ფილმს", ყველაფერი ეს შეტევაა ჩვენი თავისუფალი ქმედების წინააღმდეგ.

საგანგაშო უფრო ისაა, რომ ცდილობენ მტრის სახის შექმნას ხალხის დასანახად. მიმდინარეობს კომპანია ყველას წინააღმდეგ, ვისაც კი ოდნავ განსხვავებული აზრი აქვს.

ჩვენ არ ვაპირებთ პიკეტის მოწყობას ჯაბა იოსელიანის, ან კონგრესის დასაცავად. ალბათ „მხედრიონის" შემდეგ ჯერი ეროვნულ კონგრესზეც მიდგება. არ ვიცი, ვინ იქნება შემდეგი, ჭანტურია თუ წერეთელი.

ჩვენ იმიტომ მოვიწვიეთ, რომ დროზე აიმაღლოთ ხმა ხალხის გამოტვინების წინააღმდეგ, ინფორმაციის საშუალებების უზურპაციის წინააღმდეგ. მიეცეს მეორე მხარესაც სიმართლის თქმის უფლება.

საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს პრესცენტრი თავის ოფიციალურ განცხადებაში ეყრდნობა ამიერკავკასიის სარდლობის ოფიციალურ განცხადებას. მეორე დღეს კი აპატიმრებენ ჯ. იოსელიანს და „მხედრიონის" წევრებს.

თქვენ, მწერლებს, ჟურნალისტებს, შემოქმედებით მუშაკებს მაინც გეძლევათ უფლება შეაჩეროთ ეს პროცესი, სანამ გვიან არ არის.

### მამუკა გიორგაძე

ჩემთვის ძალზე ძნელი გასაგებია, ის, რაც ვერ გაბედა პატიაშვილმა თავის დროზე, კერძოდ ჯარის გამოყვანა დამცველის როლში, უზენაესმა საბჭომ როგორ დააკანონა და ტაშის გრიალში როგორ ჩააბარა საქართველოში წესრიგის დამყარების უფლება სამხედროებს. ჩემის აზრით, ეს იმას ნიშნავს, რომ დღევანდელი უზენაესი საბჭო ფაქტიურად ემყარება საოკუპაციო ჯარს, რაც დადასტურდა „მხედრიონის" წინააღმდეგ მიმართულ ოპერაციაში ჯარისა და მილიციის ერთობლივი მოქმედებით.

ის ფაქტი, რომ გუშინ ე. წ. 206-ე მუხლით დააკავეს ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის წევრი სამტრედიაში, რაც საზოგადოებრივი წესრიგის დარღვევას ითვალისწინებს და რაც ასე გავრცელებული იყო 70-იან 80-იან წლებში ქართველი პატრიოტების დასაჭერად, მიგვანიშნებს, რომ ძველი კომუნისტური მეთოდების გამოყენება გრძელდება. უკიდურესად შეზღუდულია მასობრივი ინფორმაციის საშუალებები. ახლო მომავალში ჩვენ ველოდებით ხალხის მტრის სახელით განადგურებული იქნება ყველა ის ადამიანი, რომელიც ოდნავ მაინც განსხვავებულად აზროვნებს, როგორც ეს ხდებოდა 20-იან, 30-იან წლებში.

მინდა გითხრათ, რომ არც ჩვენ ვართ ანგელოზები და უცოდველნი, არც ჩვენ ვწყვეტთ ცაშივარსკვლავებს და მაინც, ყველაფრის მიუხედავად მოვითხოვთ, შეიქმნას კომისია კონგრესის, უზენაესი საბჭოსა და ინტელიგენციის წარმომადგენლებისაგან, რომელიც შეისწავლის ყველა საკითხს. მხოლოდ ამის შემდეგ უნდა დაისაჯოს დამნაშავე, სულერთია ვინც არ უნდა იყოს იგი.

„მხედრიონის" დაკავებულ პირთა ერთ-ერთი ბრალდებაა იარაღის უნებართვო ტარება. თუ ჩვენ ამ კანონს ავამოქმედებთ, მაშინ პარალელურად უნდა ამოქმედდეს მეორე კანონიც, კერძოდ, შეიარაღებისკენ მომწოდებლებისათვის. ხალხს კარგად ახსოვს მიტინგებსა თუ სხდომებზე, როგორ მოუწოდებდნენ შეიარაღებისკენ. მოვითხოვთ შეწყდეს ერის მტრების სახელით სპეკულაცია და ხალხის სახელით საუბარი.

### ჯუმბერ კოპალიანი

მე მოგახსენებთ პრესის და ტელევიზიის უზურპაციის შესახებ. შავნაბადაზე თავდასხმის ამბავი დაწვრილებით შეგვატყობინა მაშველთა კორპუსში მომსახურე დაჭრილმა პირმა. 18 თებერვალს მაშინვე გვინდოდა მოგვეწოდებინა სწორი ინფორმაცია ხალხისათვის ტელევიზიის მეშვეობით.

ჩვენს მიერ მოწოდებული ინფორმაცია არც პროგრამა „ნაშუადღევში" და არც პროგრამა „მოამბეში" არ გაუშვიათ საგანგებო ბრძანებით. ზ. გამსახურდიამ განაცხადა: „რადგან ჯერ არ მაქვს ხელისუფლების ოფიციალური ინფორმაცია, მარტო თქვენს ინფორმაციას ვერ გავუშვებო".

შინაგან საქმეთა პრესცენტრის ინფორმაციით კი საბჭოთა ჯარს თავს დაესხა ქართველი ხალხი.

ყველაზე მთავარ მოვლენად უნდა მივიჩნიოთ ის, რომ რუსის ჯარის თავდასხმა მთავრობის მიერ იყო დავალებული. ერთადერთმა ჟურნალისტმა ზურაბ კვიტაშვილმა თქვა სიმართლე და პროგრამა „მოამბის" დროს გადასცა სწორი ინფორმაცია სამხედროთა თავდასხმის შესახებ.

**შეხვედრაზე ბატონმა აკაკი ბაქრაძემ წაიკითხა მოხსენება ქართველი ინტელიგენციის წინაშე. იგი განიხილეს და გარკვეული შესწორების შემდეგ (რომლის პროცესსაც პრესის წარმომადგენლები არ დაესწრეს) თათბირის მონაწილეთა მოთხოვნა გაუგზავნეს საქართველოს რესპუბლიკის უზენაეს საბჭოს.**

### ელდარ შენგელაია

ახლა მთავარია ბატონ აკაკი ბაქრაძის მიერ წარმოთქმული მოხსენება იქცეს უზენაეს საბჭოში წარსადგენ პოლიტიკურ-დოკუმენტად. ასევე გარდაუვალ აუცილებლობას წარმოადგენს შეიქმნას კონტაქტი საქართველოში არსებულ ყველა პარტიასა და უზენაეს საბჭოს შორის. წინააღმდეგ შემთხვევაში ცალ-ცალკე — ინტელიგენციის, უზენაესი საბჭოსა და სხვადასხვა პოლიტიკური პარტიების მოქმედება აბსოლუტურად არაფერს არ წარმოადგენს.

### გურამ ბერიშვილი

საქართველოს რესპუბლიკის უზენაეს საბჭოს წავუყენოთ მოთხოვნა, რომ არავითარ შემთხვევაში არ უნდა იყოს პატიმრობაში აყვანილი ადამიანი, თუ არა აქვს ჩადენილი სისხლის სამართლის რაიმე მძიმე დანაშაული. წაყენებული ბრალდება ჯ. იოსელიანის და სხვათა მიმართ შეიძლება სრულიად სამართლიანიცაა, მაგრამ ისინი უნდა გადასცენ სასამართლოს, რათა გამოირიცხოს ყოველგვარი თვითნებობა უზენაესი საბჭოს მიერ.

მეორე მოთხოვნაა, უზენაესმა საბჭომ უზრუნველყოს სიტყვის თავისუფლება და ვისაც რა უნდა, ის ილაპარაკოს. ყველას უნდა ჰქონდეს საკუთარი შეხედულების გამოთქმის შესაძლებლობა.

მესამე კატეგორიული მოთხოვნაა, უზენაესმა საბჭომ განაცხადოს მსოფლიოს წინაშე, რომ საქართველოში დისლოცირებულ საკავშირო ჯარს არანაირი უფლება არა აქვს ჩაერიოს საქართველოს შინაურ საქმეებში.

### გოგა ხაინდრავა

ვისზე მოხდა საბჭოთა ჯარების თავდასხმა — „მაშველ კორპუსზე". ეს არ არის „მხედრიონი", იგი არ არის შეიარაღებული ფორმირება, მის შემადგენლობაში შედიან 18-19 წლის ახალგაზრდები, რომლებმაც უნდა იმოქმედონ საგანგებო სიტუაციების, კერძოდ, სტიქიური უბედურების დროს. ეს ხალხი იყო ირანში მიწისძვრის დროს „მაშველი კორპუსის" კლუბსა და „მხედრიონის" შტაბს პირდაპირი რაცია ჰქონდათ, რითაც თავდასხმის დროს მხედრიონს" ყველაფერი შეატყობინეს.

თავდასხმა მოხდა შეიარაღებულ, მძინარე ბიჭებზე. შემდეგ, ხელებშეკრული, ნაცემი და მიწაზე ნავდები 2 დღე სარდაფში ჰყავდათ, რის შემდეგაც ქართულმა მილიციამ ისინი ციხეში გადაიყვანა.

თვითმხილველების თქმით სამხედროების მიერ დატრიალებულ ოპერაციაში მონაწილეობდა 14 ჯავშანტრანსპორტიორი და ორი ტანკი. ჯარის გარკვეული ნაწილი შემოვიდა კოჯრის მხრიდან. მე თვითონ ვიყავი იქ დაახლოებით შვიდის ათ წუთზე. მილიცია და ინსპექცია მოქმედებდა ჩვენს წინააღმდეგ.

### ვალერი ვაშაკიძე

ბატონ ჯაბა იოსელიანს დამნაშავისთვის ხელი არასდროს დაუფარებია. ახლა, ამ შემთხვევაში ხელისუფლებას სურს, რომ ჯაბა იოსელიანი შეიარაღებული ბანდიტების მეთაურად წარმოგვიდგინოს. ეს კი, მოგეხსენებათ არის უმძიმესი დანაშაული, რომელიც მას წაუყენეს.

ახლანდელი საქართველოს მთავრობა ბატონ ჯაბა იოსელიანს დანაშაულად უთვლის „მხედრიონის" ხელმძღვანელობას, თორემ სხვა შემთხვევაში მას პირადად არც ერთი დანაშაული არ ჩაუდენია. რაც შეეხება ძველ დანაშაულს, რომლითაც აშინებდნენ მას, ყველას კარგად მოეხსენება, რომ მან მოიხადა სასჯელი.

ჩვენ ვთვლით, რომ ინტელიგენციის მორალური ვალია, რომ სწორედ მათ უნდა დააყენონ ჯაბა იოსელიანისა და მასთან დაკავებულ პირთა განთავისუფლების საკითხი. ამის შემდეგ, რა თქმა უნდა, ყველაფერი მშვიდობიანად გადაწყდება, თუ ბატონ ჯაბა იოსელიანს საპატიმროდან გამოუშვებენ. წინააღმდეგ შემთხვევაში ჩვენ გვრჩება შთაბეჭდილება, თითქოს დღევანდელ უზენაეს საბჭოს ხელს აძლევს დიდი დესტაბილიზაცია საქართველოში და ამით მშვენივრად სარგებლობს კრემლი.

## კულტურა

**საკამათო არ უნდა იყოს რომ ჩვენი ქვეყნის კინოწარმოება, სცენარის მიღებიდან ფილმის გაქირავებამდე, საფუძვლიან ცვლილებებს საჭიროებს. ამ საკითხის შესახებ უთუოდ ფიქრობენ ქართველი კინემატოგრაფისტები, აზრთა სხვადასხვაობაც იქნება. ჩვენ მიგვაჩნია, რომ ეს მნიშვნელოვანი პრობლემა საჯარო განხილვისა და მსჯელობის საგნად უნდა იქცეს. გადავწყვიტეთ, რამდენიმე კითხვით მივმართოთ როგორც ცალკეულ კინომოღვაწეებს, ასევე საქართველოში უკვე არსებული კინოკომპანიების წარმომადგენლებს:**

**1. არსებული კინოსტრუქტურა, კინოწარმოებაც და კინომმართველობაც, ბრეჟნევის ხანაში ჩამოყალიბდა. მიგაჩნიათ თუ არა საჭიროდ ცვლილებების შეტანა ამ სტრუქტურაში?**

**2. როგორ უნდა შეიცვალოს, თქვენი აზრით, ეს სტრუქტურა?**

**3. წელს სახელმწიფომ 10 მილიონი მანეთი გამოყო კინოსთვის, რაზე უნდა დაიხარჯოს ეს თანხა?**

**4. მიგაჩნიათ თუ არა, რომ კინო დოტაციაზე უნდა იყოს?**

**ამჯერად ვბეჭდავთ კინოკომპანია „შემოქმედის" გენერალური დირექტორის მიხეილ ანთაძის პასუხებს ... ველით გამოხმაურებას.**

# რა სჭირდება ქართულ კინოს?

1. დავიწყოთ იმით, რომ საბჭოთა კინემატოგრაფის დღეს არსებული სტრუქტურა ბრეჟნევის დროს, უბრალოდ, დამყაუდა, თორემ ჩა- ...

... შეუშლის ეროვნული კინოხელოვნების თავისუფალ განვითარებას.

მაშ, სად არის გამოსავალი? გამოსავალი უკვე ... [illegible]

[illegible]

## ადამიანი და მედიცინა

... მოვიღოთ ექიმის სამი ხარისხი, კატეგორია. მართალია, დღეს სამი კატეგორია არსებობს, მაგრამ მინიჭების პრინციპი სრულიად სხვა უნდა იყოს. ექიმი უნდა აბარებდეს სპეციალურ გამოცდას, რომ ...

... რა ხდება ჯანმრთელობის დაცვის სფეროში, რა უჭირს ამა თუ იმ სამსახურს, როგორ მიდის სტუდენტებისა და ექიმების მომზადება. მთავარი სპეციალისტები პარლამენტის ქვეკომისიაში ბევრი არ უნ- ...

... დანერგვაზე, სხვა გზა არ არსებობს.

როგორი უნდა იყოს სწავლა, ფასიანი თუ უფასო? ჩემი ღრმა რწმენით, ფასიანი. უფასო სწავლა და უფასო მკურნალობა რა შედეგის მომტანია, ყველამ ვნახეთ.

# სამედიცინო სწავლების რეფორმისათვის

უფრო მაღალი კატეგორია მიეცეს. ეს ასე მესახება — მაგალითად, ჩემთან, თორაკალური ქირურგიის კათედრის დოცენტთან, მოვა ჩემი ყოფილი სტუდენტი, ... [illegible]

... და იყოს — თერაპევტი, ქირურგი, ... ოლოგი, მეან-გინეკოლოგი, ბავშვთა ექიმი...

მნიშვნელოვანი პრობლემაა სამედიცინო პერსონალის ... [illegible]

სტუდენტს კარგად რომ ასწავლო, ძალზე დიდი თანხაა საჭირო, ამიტომ სწავლა უფრო ძვირი უნდა ღირდეს, ვიდრე დღეს ექიმთა დახელოვნების ინსტიტუტში ღირს. ... [illegible]

... უფლება გვაქვს.

დღესვე უნდა გაიშალოს აღნიშნულ საკითხებზე ფართო სჯა-ბაასი, აზრთა გაცვლა-გამოცვლა, რომ ხვალ შევუდგეთ ჯანმრთელობის დაცვის ახალი სისტემის შენებას.

**ვახტანგ ქაცარავა,**

**ექიმთა დახელოვნების ინსტიტუტის III ქირურგიული კათედრის დოცენტი, სამკურნალო ფაკულტეტის დეკანი.**

# ღია წერილი

### საქართველოს საავტომობილო გზების სახელმწიფო კონცერნის თავმჯდომარის პირველ მოადგილეს ბატონ თამაზ შილაკაძეს

ვითვალისწინებთ, რომ საქართველოს სამხედრო გზა ჩვენი რესპუბლიკისათვის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი არტერიაა — ვაქვეყნებთ ცნობილი მეცნიერის, ხიდებისა და გვირაბების კათედრის გამგის, პროფესორ გივი კიზირიას დასკვნას, რომელიც ამ გზის ყველაზე რთული მონაკვეთის, მლეთა-კობის ტექნიკური პროექტის ვარიანტების განხილვა-შეფასებას ეძღვნება.

**თბილის-ბესლანის საავტომობილო გზის მლეთა-კობის მონაკვეთის მშენებლობის ტექნიკურ-ეკონომიკური გაანგარიშების შესახებ.**

საქართველოს სამხედრო გზა (თბილისი-ბესლანი) უმნიშვნელოვანესი სატრანსპორტო არტერიაა, რომელიც უმოკლესი გზით აკავშირებს ... [illegible]

... რძის გვირაბის გაყვანით. ამავე აზრისა ამ საუკუნის დასაწყისში იყვნენ სანკტ-პეტერბურგის გზების ინსტიტუტის დირექტორი პროფ. მ. გარსევანიშვილი (გარსევანოვი), მოგვიანებით ამიერკავკასიის რესპუბლიკის გზათა მთავარი მშენებელი პროფ. ა. ჯორჯაძე და სხვები, რომ ... [illegible]

... ბულია დიდი რაოდენობის ამონაღის ხარჯთან) გარდა, ძირითადად მოითხოვს მნიშვნელოვანი რაოდენობის ბეტონს, ე. ი. ცემენტს. თუ მივიღებთ, რომ გვირაბის მთელ სიგრძეზე ეწყობა მასიური ბეტონის შემოსვა, მაშინ 10 კილომეტრი სიგრძის გვირაბისათვის საჭირო ბეტონის რაოდენობა შეადგენს 220 ათას კუბურ მეტრს.

ღია სვლისას, დამუშავებული პროექტის თანახმად საჭიროა:

ბეტონი: საყრდენი კედლებისათვის — 120 ათასი კუბური მეტრი, გალერეებისათვის — 70 ათასი კუბური მეტრი, სულ 190 ათასი კუბური მეტრი.

რკინაბეტონი: თოვლსაცავი ლობეებისათვის — 1.0 ათასი კუბური მეტრი, გალერეების გადახურვის კოჭების და დგარებისათვის — 1,5 ათასი კუბური მეტრი.

[illegible]

... გვირაბის მშენებლობის პერიოდში საჭირო იქნება გზის არსებულ უბანზე მხოლოდ მინიმალური სამუშაოების ჩატარება. შემდგომში, გუდაურის კომპლექსისათვის საჭირო იქნება მლეთის ალმართის სერპანტინების ექსპლოატაცია, ან კაიშაურის ველით ახალი გზის აგება გრძელი და მაღალი ხიდით.

გვირაბის აშენების შემდეგ ტრანზიტული მოძრაობა უკვე აღარ გავა გუდაურზე, რაც კეთილ გავლენას მოახდენს კურორტზე.

**დასკვნა: რეკომენდაციას ვაძლევ საქართველოს სამხედრო გზის მლეთა-კობის უბნის რეკონსტრუქციის ვარიანტს, რომელიც ითვალისწინებს 10 კმ სიგრძის გვირაბის აგებას, მშენებლობის პერიოდში დღეისთვის უკვე არსებული გზის მონაკვეთის ექსპლუატაციო ხარჯების მინიმუმამდე შეზღუდვით.**



ეროვნული ბიბლიოთეკა

მკითხველს ვაუწყებთ, რომ წინამდებარე წერილი ამ სამიოდე წლის წინ დაიწერა, მაგრამ ავტორმა მისი გამოქვეყნება თავის დროზე ვერ მოახერხა.

სუსტი წიგნების სიმრავლე ჩვენში დღეს არავის უკვირს და, კარგად მოგეხსენებათ, არც არავის სჯიან ამის გამო. სხვა საქმეა, როცა მეცნიერული უმეცრება სიმართლის დამდგენის პრეტენზიას აცხადებს და, სინამდვილეში, ციხის შიგნიდან გატეხვის უკეთურ საქმეს ემსახურება, შხამსა და სამსალას თესავს ძმათა შორის. თუ „ცხელ კვალზე" არ ვამხელთ და საბოლოოდ არ ავლაგმავთ მსგავსი სულისკვეთებით გაჟღენთილი ნაშრომების ავტორთა თავაშვებულ თარეშს, ჩვენი ისედაც უაღრესად დაძაბული საშინაო მდგომარეობა კიდევ უფრო აირევა და აიწეწება...

რედაქცია იზიარებს ავტორის პოზიციას, თვლის, რომ შენიშვნები საფუძვლიანია და მკითხველს სთავაზობს მისი კრიტიკული წერილის შემოკლებულ ვარიანტს.

# „ვაი, მგეთას სამართალს..."

საქართველოს მთისა და ბარის ცალკეულ კუთხეთა ყოფა-ცხოვრების მეცნიერულ შესწავლაში, როგორც ცნობილია, ფასდაუდებელი ღვაწლი მიუძღვის პროფ. სერგი მაკალათიას. უნდა ითქვას, რომ არც ბიბლიოგრაფიულ იშვიათობად ქცეული მისი პაეტაპო მონოგრაფიების გამოქვეყნების შემდგომ შენელებულა მკვლევართა ინტერესი ამ მიმართულებით. ქართველი ერის ისტორიულ-ეთნოგრაფიული ყოფის გაღრმავებული კვლევა-ძიება დიახაც რომ საჭირო და საშური საქმეა. გასაგებია ის დიდი ყურადღებაც, რასაც მკითხველი საზოგადოებრიობა ამგვარი ნაშრომების მიმართ იჩენს. მაგრამ ყოველთვის როდი მართლდება მისი იმედიანი მოლოდინი.

გარდა იმისა, რომ ასეთ წიგნებს საერთო თითქმის არაფერი აქვთ ჭეშმარიტ მეცნიერებასთან და იოტისოდენი წვლილიც ვერ შეაქვთ მისი გაღრმავება-განვითარების საქმეში, ძალზე საშიში და საბედისწერო გავლენის მოხდენაც შეუძლიათ კონკრეტული ეთნიკური ჯგუფის შეგნებასა და განწყობილების ჩამოყალიბებაზე. ვგულისხმობთ ნაშრომებს, სადაც ადგილი აქვს სინამდვილის გამრუდებას, ფაქტების გადასხვაფერებას და ავტორი მისდაუნებურად, სამარცხვინოდ ვიწრო, პროვინციული ინტერესების მარწუხებში ექცევა. ტიტულოვანი მეცნიერის ნააზრევს, თავისი აზიერებული ხასიათისა და ღვარძლიანი ჩხირკედელაობის გამოისობით, შეუძლია ერთურთს წაჰკიდოს არათუ სხვადასხვა ეროვნებათა წარმომადგენლები, არამედ დიდი ხნიდან ერთ სოფელსა თუ ხეობაში მოსახლე, ერთმანეთისაგან ორ-სამ ნაბიჯზე მცხოვრები ადამიანებიც კი. და თუ რა ნაყოფს მოისხამს მერე და მერე ბოროტების ძირმწარე ხე, ყველასთვის ცხადი უნდა იყოს!...

ამჯერად ჩვენც სწორედ ერთ ასეთ წიგნზე გვიხდება არცთუ სასიამოვნო და სახალისო საუბარი.

მიზანი, რასაც ისტორიულ მეცნიერებათა დოქტორის აბრამ შავხელიშვილის ბოლო, რიგით მეექვსე წიგნი („თუშეთი", გამომცემლობა „მეცნიერება", თბ., 1987 წ.) ისახავს, ფრიად ფართო და კეთილშობილურია. წიგნის წინასიტყვაობაში ავტორი ამბობს: „ჩვენი მიზანია, თავი მოვუყაროთ მასალას თუშეთის შესახებ, გავაანალიზოთ ისინი (!) საბჭოთა საისტორიო მეცნიერების მიღწევათა შუქზე, შევაჯამოთ საკითხით დაინტერესებულ პირთა ნამოღვაწარი და შეძლებისდაგვარად წარმოვაჩინოთ მათი მეცნიერული მემკვიდრეობის ძლიერი და სუსტი მხარეები" (ხაზგასმა ყველგან ჩვენია — ა. ა.). მკვლევარი იქვე აცხადებს: „ყოველგვარ შენიშვნას და რჩევას, რომელსაც შეეძლება სწორი მიმართულება მისცეს ჩვენს კვლევას და დაგვეხმარება თუშეთის ისტორიის უკეთ გაშუქებაში, დიდი მადლობით მივიღებთ".

რახან ავტორს სამერმისოდ „თუშეთის ისტორიის უკეთ გაშუქება" ჰქონია განზრახული და „ყოველგვარ შენიშვნასა და რჩევას დიდი მადლობით მიიღებს", ჩვენც აღვიჭურვოთ მოთმინებით, მივადევნოთ თვალი წიგნში დასმული საკითხების ა. შავხელიშვილისეულ ანალიზს და ვაჩვენოთ, რამდენი ფაქტობრივი, აზრობრივი თუ გრამატიკული უზუსტობის დატევა შესძლებია ნაშრომს, რომლის მოცულობა შვიდი თაბახია.

„ჩვენს მიერ მიკვლეული მასალების მიხედვით, „თუში"-ს სახელწოდებითაა ცნობილი სამეურნეო დანიშნულების სამკაპა ჯოხი, რომლის ბოლო ერთი მხრიდან(!) ნახვრეტების საშუალებითაა გადაბმული, საიდანაც ვერტიკალურად დაშვებულია მავთული (სიგრძით ერთი მეტრისა). სადღეისოდ ეს ხელსაწყო (!) მხოლოდ მწყემსებს შემორჩათ. იგი ზედადგარის როლს ასრულებს" (გვ. 9).

ცნება „თუში"-ს ამ მნიშვნელობას ა. შავხელიშვილამდე კარგად იცნობდა ვაჟა-ფშაველა (იხ. ტ. VII, 1956, გვ. 34). ტერმინის ამ და სხვაგვარი მნიშვნელობები დამოწმებულია აგრეთვე „ქართულ კილო-თქმათა სიტყვის კონაში" (ტ. I, თბ., 1974, გვ. 254) და დიალექტოლოგიურ ლექსიკონებში. ასე, რომ პირველაღმომჩენის პრიორიტეტი ა. შავხელიშვილს არ ეკუთვნის. რაც მთავარია, ვაჟა და ლექსიკოგრაფები მოკლედ და გასაგებად განმარტავენ სააანალიზო ტერმინით აღსანიშნი „ხელსაწყოს" რაობას, რასაც ვერ ვიტყვით ა. შავხელიშვილის მიმართ.

„საინტერესოა ამავე დროს ტერმინ „ბაცბურის" წარმოშობა, რომელიც XVIII საუკუნის პირველი ნახევრიდან თუშურ ენად (!) იყო ცნობილი", — აცხადებს მეცნიერი. ტერმინოლოგიური ძიებით გატაცებული ფონეტიკურად მსგავსი ჟღერადობის, მაგრამ „ბაცბურთან" კავშირის არმქონე სიტყვა „ბაცაცს" (კურდღლის შვილი, კურდღლის ბაჭია) პოულობს სულხან-საბასთან და ასკვნის: „როგორც ჩანს, ცნებას „ბაცა" დიდი ხნის ისტორია აქვს. იგი ჩეჩნურ-ინგუშური ტრადიციით თუშეთის ამსახველია და მჭიდრო კონტაქტები(!) აქვს ქართულ ეთნოსებთან" (გვ. 14).

მთელი ეს მსჯელობა იქითკენაა მიმართული, რომ ავტორმა წოვები ოდითგან თუშეთში მოსახლე ადგილობრივ ეთნოსად გამოაცხადოს და წაშალოს ყოველგვარი კვალი მათი ჩაჩანინგუშური წარმომავლობისა, თუმცა სურვილი სურვილად რჩება და ძველ, წინა წიგნში („აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთის ისტორიიდან", გამომცემლობა „მეცნიერება", თბ., 1977 წ.) დაშვებულ შეცდომებს ახალი ემატება.

მეცნიერის თვალსაზრისმა, როგორც ჩანს, დროთა განმავლობაში საგრძნობი „ევოლუცია" განიცადა. თუ 1977 წელს გამოსული მისი ნაშრომის მიხედვით, პანკისის, ბახტრიონის, ალვანისა და ლოპოტის სახნავ-სავარგულები საზოგადოდ თუშებს ეკუთვნოდათ (გვ. 61 და სხვ.), ათი წლის შემდეგ გამოქვეყნებულ კომპილაციური ხასიათის ნაშრომში ჩამოთვლილი ადგილების მფლობელებად „საკვლევ პერიოდში" (რომელი პერიოდი იგულისხმება, არ ჩანს!) ყველგან წოვა-თუშები არიან დასახელებულნი (გვ. 26, 27, 47, 51, 56, 57 და ა. შ.).

ა. შავხელიშვილი თავის წინა წიგნში, რამდენიმე გამონაკლისის გარდა, წერს „თუში", „თუშები", ხოლო განსახილველი წიგნის თითქმის ყოველ გვერდზე, იმისდა მიუხედავად, არის თუ არა საამისო აუცილებლობა, ფრჩხილებში აზუსტებს: „წოვა", „წოვა თუშები".

აბრამ შავხელიშვილი საგანგებოდ ჩერდება ბახტრიონის 1659 წლის გმირულ ეპოპეაზე; აღნიშნავს, რომ „ხალხური ზეპირსიტყვიერების" (!) მონაცემების საფუძველზე შეიქმნა ვაჟა-ფშაველას „ბახტრიონი", აკაკი წერეთლის „ბაში-აჩუკი", ალ. ხახანაშვილის თუშური ლექსები(!) და იმისათვის, რომ მკითხველი დააჯეროს ნათქვამის სისწორეში, ერთობ ორიგინალურ, უპრეცედენტო მითითებას აკეთებს სქოლიოში: ვაჟა-ფშაველა, ბახტრიონი, თხზ., ტ. II, თბ., 1937, გვ. 197; წერეთელი აკ., ბაში-აჩუკი, ჩვენი საუნჯე, VIII, თბ., 1960, გვ. 408-409; ხახანაშვილი ალ., ბახტრიონის ციხის აღება, „ივერია", 1888, № 220.

ალბათ, პატივცემული მკვლევარი ფიქრობს, რომ მკითხველმა არაფერი იცის ვაჟას პოემის, აკაკის ისტორიული მოთხრობისა და ბახტრიონის ბრძოლის ამსახველი ხალხური ლექსების ციკლის შესახებ და საჭიროდ თვლის მათი ადგილსამყოფელის დაზუსტებას, საკითხის არსში გაურკვეველი საზოგადოებრიობის „დაკვალიანებას".

ა. შავხელიშვილი თავგამოდებით ლამობს თუშეთის ლოკალური სახალხო გმირების წოვა-თუშობის დამტკიცებას, ხოლო იმ შემთხვევაში, როცა მცირე თუ დიდი მასშტაბის ომში ნასახელარი ვაჟკაცი ნამდვილად ჩაღმა თუშია, კრინტსაც აღარ ძრავს (განსხვავებით წინა წიგნისგან) მის წარმომავლობაზე. რადგან ავტორი თავისი არჩეული პრინციპის — თუში (წოვა) — ერთგულია, აუცილებლად უნდა აღენიშნა ასპინძის ომში (1770 წ.) მონაწილე დილოიძის ჩაღმა-თუშობაც. ეს ის დილოიძეა, ასპინძის ომში გამოჩენილი სიქველის წილ ერეკლე მეფემ საჩუქრად წალკის ხეობა რომ შესთავაზა, ხოლო მან დიდძალ ოქროდ ღირებული ხევსურის ხმალი არჩია მეფისგან დაპირებულ ვრცელ ტერიტორიას.

ავტორის ტენდენციურობა, მისი მსჯელობის ცალმხრივობა, ზეპირი თუ წერილობითი ცნობების თვითმიზნური გამოყენება ჩანს ყველგან, სადაც საქმე წოვა და ჩაღმა თუშების საჩოთირო, არასაჭირო, ყოვლად გაუმართლებელ, უხერხულ დაპირისპირებას და წოვების პირველობა-უპირატესობის ჩვენებას ეხება. იმდენად აშკარა, თვალშისაცემი და სახამუშოა წიგნის ამგვარი სულისკვეთება, რომ იძულებული ვართ, მეტი თვალსაჩინოებისთვის რამდენიმე ტიპიური ადგილი მოვიხმოთ:

„რიგ შემთხვევებში წოვა-თუშეთის (!) მატერიალურ კულტურაში განვითარების შედარებით მაღალი ნიშნები შეიმჩნევა, ვიდრე თუშეთის სხვა თემებში" (გვ. 19).

კონკრეტულად რაში ვლინდება ეს „მაღალი ნიშნები", ამის გამო მეცნიერი არაფერს ამბობს.

„საინტერესოა ისიც, რომ თუშეთში სათემო და სასოფლო ძეგლებიც(!) არის ნახული (!). მაგალითად, წოვათის თემს ეკუთვნოდა სამების, ცორულას (უნდა იყოს „ცორულის" — ა. ა.; მ. ც.) იახსრის, კოპალას სალოცავები" (გვ. 22).

აქაც მცირე კორექტივის შეტანაა საჭირო. „სათემო და სასოფლო ძეგლები" კი არა, ესენი საკულტო ნაგებობებია, ხატ-სალოცავები. ისე, სასურველი იყო, თუშეთის საკულტო ძეგლებსა და სახატო რიტუალებზე საუბრისას ავტორს გაეთვალისწინებინა ვერა ბარდაველიძის ფუნდამენტური ნაშრომი „აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთის ტრადიციული საზოგადოებრივ-საკულტო ძეგლები" (ტ. II, თუშეთი, 1985 წ.), სადაც იახსარი საერთოდ არ იხსენიება წოვათის სალოცავთა შორის.

„ცნობილია, რომ წოვა-თუშები საქართველოსა და მის მეზობელ ქვეყნებში (!) მომთაბარეობით მეურნეობას ეწეოდნენ" (გვ. 36).

რომელ „მეზობელ ქვეყნებს" გულისხმობს მკვლევარი, გაუგებარია.

„როგორც ითქვა, საკვლევ პერიოდში (!) წოვა თუშები ალვნის, პანკისისა და ბახტრიონის ტერიტორიაზე უხსოვარი დროიდან (!) ბინადარ ცხოვრებას ეწეოდნენ" (გვ. 57).

იქნებ გვითხრას ავტორმა, რანაირად შევუთავსოთ ერთმანეთს „საკვლევი პერიოდი" და „უხსოვარი დრო!"

წიგნში სამი გვერდი აქვს დათმობილი იმ „მდელოების", „საზამთრო საძოვრების", მდინარე იორის, ნაზარალის, თელის, ემაკისა და ლეკის წყლების მიმდებარე ტერიტორიების, ათამდე საზაფხულო საძოვრის, სერების, გორ-გორების, „ბასეინების", მდინარეთა აუზებისა და იალაღების ჩამოთვლას, რომელთაც წოვა-თუში მეცხვარეები ფლობდნენ. შეუძლებელია, ჩაღმების მიმართ წრფელი სიბრალულის გრძნობა არ აღეძრას მკითხველს, როცა იქვე მეცნიერის ასეთ სიტყვებს შეხვდება: „შირაქის უმნიშვნელო ადგილები ეკავათ ჩაღმებს: „ივანე თელაურიძეს (სატორგო), კუკალაანთ (ქაკაძეები) — სულდოროს მიჯნამდე, ხოლო მურთაზაანთ ჩილოელთ ხეობაში ორი ბინა ჰქონდათ. ეს ადგილები ძალზე მწირია (ბალთა, ჩრდილო, ღორის წყალი)".

„წოვა-თუშების განვითარებული მეცხვარეობის მეურნეობას ყველის გამოყვანის (!) საკუთარი წესები ჰქონდა" (გვ. 73).

ცხვრის ყველის დამზადების ტექნოლოგია ერთნაირი იყო და არის წოვათისა და თუშეთის სხვა თემების მეცხვარეთა სამეურნეო პრაქტიკაში. ლოგიკური იქნებოდა, განემარტა ავტორს, რა იგულისხმება „ყველის გამოყვანის საკუთარ წესებში", რა თავისებურებებით ხასიათდებოდა ეს პროცესი წოვათაში.

„საინტერესოა თუშების (წოვა) ფოლკლორი, ხალხური სამართალი, სადაც აშკარად შეიმჩნევა როგორც შეძლებული, ასევე ღარიბი ფენის არსებობა" (გვ. 78).

შესატყვისი საილუსტრაციო მასალის გარეშე ამ ლიტონ განცხადებას არავითარი მეცნიერული ღირებულება არ გააჩნია. ჩვენთვის ცნობილია, საერთოდ, თუშური ფოლკლორი, ჟანრობრივად მდიდარი და მრავალფეროვანი და თუ წოვებს დამოუკიდებელი, საკუთარი ზეპირსიტყვიერება აქვთ, არა გვგონია, ამის ხაზგასმამ წოვებისა და ჩაღმების ეთნიკური ერთიანობის ა. შავხელიშვილისეულ მტკიცებას შეუწყოს ხელი.

„წოვა-თუშები უხსოვარი დროიდან (!) ეწეოდნენ მომთაბარეობას. მისდევდნენ ხვნა-თესვას და მესაქონლეობას. ეს ორი დარგი მთისა და ბარის რაიონებში ინტენსიური იყო, რადგან ამ ხანებში (!) აღმოსავლეთ საქართველოში, კერძოდ, კახეთში, მშვიდობიანობა იყო" (გვ. 56).

„უხსოვარი დრო" ხშირად ფიგურირებს აბრამ შავხელიშვილის წიგნში და ეს იმიტომ, რომ ქრონოლოგიური ჩარჩოს მოხსნის გზით წოვათის თემის სიძველე და „ადგილობრივი ქართველი მთიელობა" ამტკიცოს. შეიძლება იმაში დავეთანხმოთ ავტორს, რომ „წოვა-თუშები უხსოვარი დროიდან" ეწეოდნენ მომთაბარეობას, მაგრამ იმას კი ვერა და ვერ დავიჯერებთ, რომ ალვნის, პანკისისა და ბახტრიონის ტერიტორიაზე „უხსოვარი დროიდან" ბინადარ ცხოვრებას ეწეოდნენ" (გვ. 57). „უხსოვარი დროის" ცნება დროული ლოკალის გაგებას გამორიცხავს და გულისხმობს იმ ხანას, რომელიც დაუდგენელ-დაუკონკრეტებელია. ლოგიკურია თუ არა ერთსა და იმავე კონტექსტში „უხსოვარი დროისა" და „ამ ხანების" ჩასმა, ამის განსჯა მკითხველისთვის მიგვინდვია.

მსგავსი მაგალითების გაზრდა კიდევ შეიძლებოდა, მაგრამ, ვფიქრობთ, მოხმობილი მასალაც მკაფიოდ აჩენს მეცნიერის ტენდენციურობას, მის თვითმიზანს — ერთმანეთისგან გამიჯნოს ჩაღმა და წოვა თუშები და ამ უკანასკნელთა ყურადღების ორბიტში მოქცევით და პირველობის მტკიცებით შეგნებულად დაჩრდილოს და დააკნინოს ჩაღმები.

ა. შავხელიშვილის აკვიატებული მიზანი, დაასაბუთოს წოვებისა და თუშეთის სხვა თემების ეთნიკური ერთიანობა, დაფუძნებულია ღიმილისმომგვრელ არგუმენტებზე. აი, ერთი მაგალითი: „აღსანიშნავია, რომ თუშეთის ოთხივე საზოგადოებაში საზომი ერთეულები ერთი და იგივე ცნებებით იზომება (!). ცხადია, რომ თუშეთის ოთხივე თემში ამ ტერმინების იდენტურობა შემთხვევით ხასიათს არ ატარებს. იგი ეთნიკური ხასიათის ერთიანობაზეც უნდა მეტყველებდეს".

რა საზომ ერთეულებზეა ლაპარაკი, ეს ავტორის საიდუმლოა. ანდა, რა გასაკვირია, ვთქვათ, წონისა და სიგრძის საზომი ერთეულების გამოსახატავად ერთსა და იმავე ცნებებს თუ იყენებენ წოვები და ჩაღმები!

ავტორი რომ ძალზე ზედაპირულად, დილეტანტი მოგზაურის დონეზე იცნობს შესასწავლ რეგიონს, ჩანს წიგნის იმ მონაკვეთებიდან, სადაც საუბარი თუშეთის გეოგრაფიულ საზღვრებს, ბუნებრივ რესურსებს, მატერიალური კულტურის ძეგლებს ეხება.

„თუშეთში უხვადაა მინერალური და სამკურნალო წყლებიც" (გვ. 23). „როგორც ითქვა (არსად არ თქმულა — ა. ა.; მ. ც.), წოვათის ქვაბნარი მინერალური წყლებით მდიდარი ადგილია" (გვ. 29).

ნებისმიერ თუშს რომ ჰკითხოთ, ყველა ერთნაირად გიპასუხებთ: მინერალური წყლებით თუშეთი ღარიბია. მეცნიერის სასწაულმოქმედ კვერთხს კი თურმე რა არ შესძლებია, ზღაპრის პერსონაჟის დარად, სადაც დაჰკრავს, იქ გამოადენს გულის გამაგრილებელ მინერალურ წყალს!

1977 წ. გამოცემულ წიგნში ა. შავხელიშვილი გაუგონარ გულმავიწყობას იჩენს. 91-ე გვერდზე წერია „თუშეთის ორივე ხეობაში (პირიქითისა და გომეწრის) შემორჩენილია ბევრი ეკლესია", ხოლო 197-ე გვერდი საწინააღმდეგოს ლაღადებს: „თუშეთის ცენტრალურ ადგილებში — სოფ. ფარსმაში (პირიქითი თუშეთი), ომალო(ჩაღმა), შენაქოში (ჩაღმა), ილურთაში (გომეწარი) ინტენსიურად შენდებოდა ეკლესიები, რომელთაგან დღეს ნანგრევებია შემორჩენილი".

„თუშეთში" კიდევ ცოტა სხვაგვარი ვითარებაა: „თუშეთში შემონახულია აგრეთვე ეკლესიები, მათი რაოდენობა შვიდზე მეტია" (გვ. 124).

როგორც ვხედავთ, „თუშეთის ორივე ხეობაში (პირიქითისა და გომეწრის) შემორჩენილი ბევრი (!) ეკლესია" ავტორმა ნაშრომის ბოლოს „ნანგრევებად" აქცია. ჭირის ოფლის ფასად ნაგები ქრისტიანული კულტურის თვალსაჩინო ძეგლებისადმი ასეთი დაუდევარი, უგულისხმო დამოკიდებულება არათუ ისტორიკოსს, უწიგნურ ადამიანსაც არ ეპატიება!

ყურმოკრულ ცნობებზე დანდობა და სინამდვილის საკუთარი სურვილისამებრ „კორექტირება" ისტორიკოსს არ ეკადრება!

აბრამ შავხელიშვილი არც თუშთა საოჯახო ყოფის, შრომა-საქმიანობისა და წეს-ჩვეულებების საკითხებს ტოვებს ყურადღების გარეშე.

„...წლოვანებით უფროსი დიდი პატივისცემით სარგებლობდა. ოჯახში სპეციალური ადგილი ბუხრის მარჯვენა მხარეს ჰქონდა მიჩნეული" (გვ. 39).

ჯერ კორექტურულ შეცდომად ჩავთვალეთ, ხოლო მერე, როცა მეორე მაგალითიც ვნახეთ, დავრწმუნდით, რომ მეცნიერი განსხვავებას ვერ ხედავს „მიჩენასა" და „მიჩნევას" შორის: „ხარების სადგომი სოფლიდან დაშორებული იყო და სპეციალურად მწყემსი ჰყავდა მიჩნეული" (გვ. 75).

სიტყვათა არაზუსტი შერჩევის შემთხვევები ნაშრომში უამრავია. მათი უკლებლივ აღნუსხვა შორს წაგვიყვანდა. ჰოშიკად კიდევ ერთი ტიპიური მაგალითის დასახელებაც იკმარებს: „...წლის თავზე ჰკითხავენ მკითხავს, თუ განსვენებულის ცხენი ვის მიეცეს: სული თხოულობს, რომ მისცენ ამახაო", — ამბობს მკითხავი (ვინც შეისყიდის მკითხავს)" — გვ. 116.

„მიხევა" და „მიჩენა", „შესყიდვა" და „მოსყიდვა" სხვადასხვა შინაარსის გამომხატველი სიტყვებია. მათი ნიველირება, ჩვენი აზრით, ნამდვილად არ შეჰფერის მეცნიერებათა დოქტორის კომპეტენციას!

აბრამ შავხელიშვილის წიგნი უჩვეულოდ „მდიდარ", აქამდე არსმენილ ინფორმაციას გვაწვდის შესასწავლი კუთხის ეთნოგრაფიულ სინამდვილიდან. სხვისი რა მოგახსენოთ და ჩვენ კი დღემდე არ ვიცოდით, რომ თუშები „ფეხზე იცვამდნენ მთის პირობებისათვის შეხამებულ ტყავის ლანჩებს" (გვ. 49); „გრეხდნენ მატყლს", „ქსოვდნენ.... ნაბდებს" (გვ. 35), რომ „დეკის ცეცხლი არომატულია" (გვ. 53).

ფეხსამოსთან დაკავშირებით არანაკლებ „საინტერესო" ცნობას ვხვდებით ავტორის წინა წიგნში: „ფეხსაცმელი მთის პირობებისათვის შესაფერისი ჩანს" (გვ. 74).

გვინდა, ავტორს შევახსენოთ, რომ ფეხსაცმელი არც ბარის პირობებისთვისაა შეუფერებელი!

ავტორი, როგორც ვნახეთ, არაიშვიათად ეწინააღმდეგება თავის თავს. ავიწყდება, რა თქვა ადრე და ერთსა და იმავე საგანზე ურთიერთგამომრიცხავ ინფორმაციებს იძლევა. ფანტაზიაზე დანდობილი კვლევის დროს ასეთი რამ სავსებით მოსალოდნელია. მაგრამ გასაკვირი და მოულოდნელია, როცა წინა აბზაცში გატარებული აზრი მომდევნოში საპირისპიროთი იცვლება. ნაშრომის 44-ე გვერდზე ავტორი აღნიშნავს: „ოჯახში გაყრის ერთ-ერთი მიზეზი იყო ცოლქმრის შეუთავსებლობა". ამ ციტატის მომყოლ აბზაცში კი ნათქვამია: „როგორც ითქვა, გაყრის ერთადერთი მიზეზი ცოლის ღალატი იყო".

აბრამ შავხელიშვილს უჭირს სათქმელის სათანადო ფორმით გადმოცემა, კონტექსტისთვის შესაფერისი სიტყვის შერჩევა, წინადადების გამართვა. გამომდინარე აქედან, ნაშრომში ხშირია შეუსაბამო სინტაგმები, აზრობრივი ლაფსუსები, ცუდი ქართულის ურიცხვი ნიმუში. აი, სახელდახელოდ დაძებნილი რამდენიმე მაგალითი: „ცხვარს ემუქრებოდა სუსხიანი ყინვა" (გვ. 79); „ცხვრის დიდი ფართობი საზამთროდ შირაქში, ივრის, მტკვრისა და ალაზნის აუზებში გადადიოდა" (გვ. 58); „წოვათის ვაკობი მდინარე სავირთის სათავეებიდან ჩამოტანილ მეწყერის შედეგია" (გვ. 29). „არსებობდა საბოსლეებიც, რომელსაც საკუთარი სარგებლობის წესი გააჩნდა" (გვ. 28);

ნაშრომის 3-ე გვერდზე ავტორი აღნიშნავს: „მათ (თუშებმა — ა. ა.) უცხოელ დამპყრობთა წინააღმდეგ შეუპოვარი ბრძოლითა და თავდადებული შრომით შეინარჩუნეს საკუთარი თვითმყოფობა".

იქნებ უფრო სრულყოფილად აგვიხსნას ისტორიის მეცნიერებათა დოქტორმა, რომელ „უცხოელ დამპყრობთა წინააღმდეგ" ჰქონდათ თუშებს შეუპოვარი ბრძოლა. „უცხოელი" ქეგლ-ში ასეა განმარტებული: „უცხოეთის მკვიდრი, საზღვარგარეთელი". თუ ა. შავხელიშვილს ლეკები და ქისტები ჰყავს მხედველობაში, უნდა მოვახსენოთ, რომ ისინი თუშებისათვის არც „უცხოელები" იყვნენ და არც „დამპყრობნი".

ჩვენი განზრახვა, მეტ-ნაკლებად სრული წარმოდგენა შეგვექმნა მასობრივი მკითხველისთვის ა. შავხელიშვილის წიგნზე, ნაწილობრივ განხორციელდა. „თუშეთის" საფუძვლიანი განხილვა ისტორიკოსების, ეთნოგრაფების, ფოლკლორისტებისა და ენათმეცნიერების ერთობლივ გარჯას მოითხოვდა. წიგნში არაა თითქმის არც ერთი აბზაცი, შენიშვნას რომ არ იწვევდეს. ამას მთელი პასუხისმგებლობით ვამბობთ და მზად ვართ, თუკი ავტორი საამისო საშუალებას მოგვცემს, კიდევ არაერთი „ბრძნული" აზრი და გამოთქმა შევახსენოთ მისივე ნაშრომიდან.

ამირან არაბული

ეროვნული ბიბლიოთეკა

# აღვუდგინოთ ქართულ მიწას თავისი პასპორტი

„მიწის პასპორტს“ უწოდებენ ტოპონიმისტები გეოგრაფიულ სახელწოდებებს, ტოპონიმებს. ისინი არიან უძველესი და უტყუარი მოწმენი ამა თუ იმ მიწის, ამა თუ იმ ხალხთა კუთვნილებისა. ამიტომ იყო, რომ დამპყრობელნი, მტრები თავის ერთ-ერთ მიზნად ყოველთვის ისახავდნენ გეოგრაფიული სახელების შეცვლას მისაკუთრებულ მიწებზე, დაპყრობილ ქვეყნებში. ცნობილია, რომ ფაშისტებმა მარტო პოლონეთში ცამეტი ათას გეოგრაფიულ ობიექტს შეუცვალეს სახელი.

საქართველოს ფაშისტები არ დასხმიან თავს, მაგრამ ვინც დაესხა, არც ისინი იყვნენ ფაშისტებზე ნაკლებნი. სხვა ბევრ უბედურებასთან ერთად პირველი დღეებიდანვე დაიწყეს დასახლებული პუნქტებისა და ქუჩამოედნებისათვის სახელების მასიურად შეცვლა. მათ არ მოსწონდათ წმინდანთა, ჩვენი სახელოვანი მეფეების, მამულისათვის წამებულ გმირთა სახელები (მეფეები, თავადები, მღვდლები — ხალხის მჩაგვრელები იყვნენო) და მათ ნაცვლად ეგრეთწოდებულ რევოლუციონერთა — ტერორისტთა, მძარცველთა სახელებს არქმევდნენ სოფლებსა და ქალაქებს. უფრო სწორედ თვითონ უკვდავყოფდნენ ერთმანეთის სახელებს. ქუჩებს ხომ ვინლა მოთვლის! ამას თვითონ ქართველები აკეთებდნენ, სხვა ერისანი რაღას იზამდნენ? და ასე იძირკვებოდა უხსოვარი დროიდან მომდინარე ულამაზესი და უმდიდრესი ინფორმაციის შემცველი სახელები. მარტო ე. წ. სამხრეთ ოსეთის ავტონომიურ ოლქში 1934 წელს ერთი ხელის დაკვრით 411 გეოგრაფიულ ობიექტს (დასახლებული პუნქტები, მთები, მდინარეები) შეეცვალა სახელები. ერთ თუ ორ ამდენსაც, ალბათ, მას შემდეგ, რადგან ტოპონიმთა შეცვლა, გადარქმევა დღეს კიდევ უფრო დიდი გააფთრებით ხდება. დღემდე გრძელდება, რადგან ეს არის ტერიტორიაზე შედავების, შეცილების ერთ-ერთი საშუალებაა. დღესდღეობით, როცა სამოცდაათი თუ ორასი წლის მანძილზე უკუღმა მბრუნავი საქართველოს ჩარხი წაღმა დაბრუნდა, ბევრი ქალაქის, სოფლის, ქუჩის სახელი უკვე აღდგა, მაგრამ აღსადგენი და მოსაწესრიგებელი კვლავ ბევრია. ამ მხრივ განსაკუთრებით დიდი აღდგენითი სამუშაოების ჩატარება იქნება საჭირო ქვემო ქართლში, შიდა ქართლში და აფხაზეთში. ამ საქმეს დროული და სერიოზული მიხედვა რომ სჭირდება, ვფიქრობთ ეჭვს არ უნდა იწვევდეს. ამიტომ იყო, რომ თბილისის უნივერსიტეტის ტოპონიმიკის ლაბორატორიის თანამშრომელნი, მთა-ბარს ვედებოდით, ვჩქარობდით რათა გადაგვერჩინა დასაკარგავად განწირული ტოპონიმები. როგორც აკად. არნ. ჩიქობავა იტყოდა ხოლმე, წლების შემდეგ ოქროს ფასი დაედება თითოეულ მათგანს, როგორც საბუთს ქვეყნის დამცველისათვის, ისტორიკოსისა, ეთნოგრაფისა, ენათმეცნიერისა თუ გეოგრაფისათვისო. 1969 წლიდან მოყოლებით სოფელსოფელ და კარდაკარ მაქვს მე პირადად შემოვლილი ახმეტის რაიონი თუშეთიანად, თიანეთის, დუშეთის (ფშავხევსურეთი, მთიულ-გუდამაყარი), ყაზბეგის, ნაწილობრივ ზემო იმერეთი და ქვემო იმერეთი, ქარელის, გორის, კასპის რაიონები. ჩემი აღწერის შემდეგ რამდენიმე ათეული სოფელი ნასოფლარებად იქცა მთებში, რამდენიმე ათეული სოფელი წყალსატევებმა დაფარა. ათასობით დასაკარგავად განწირულ ტოპონიმს, რომ იტყვიან, სულზე მივასწარი. ასევე შემოიარეს საქართველოს სხვადასხვა კუთხეები ჩვენმა თანამშრომლებმა.

ამ დროს კი ჩვენი საქმიანობა ზოგისათვის გაუგებარი იყო თვით უნივერსიტეტშიც კი. მათი ნიჰილიზმი იქამდე მიდიოდა, რომ ამ ლაბორატორიის დახურვასაც კი ცდილობდნენ — რუსეთში არ არის ასეთი ლაბორატორია და თქვენ საიდან მოიგონეთო.

იმდროინდელი განათლების მინისტრი ასეთი აზრის იყო ჩვენი ლაბორატორიის შესახებ. ასეთივე აზრის იყო უნივერსიტეტის იმდროინდელი პარტორგანიზაციის მდივანიც. უფრო მეტიც, მას ზედმეტად მიაჩნდა ასეთი „ფაფხური“, რადგან მისი აზრით, პატარა ენებს სულ ერთია მაინც გაქრობა უწერიათ, დიდი ენები ჩაყლაპავენო. ეს იმ დროს, როდესაც სასომხეთში მსგავსი ლაბორატორიის წევრებს დიდი ხელშეწყობა ჰქონდათ, მიამაგრეს ტრანსპორტი, რის შედეგადაც მათ მალე აღწერეს არა მარტო სასომხეთი, არამედ საპრეტენზიო მტკვრის მარჯვენა ნაწილის საქართველოც. აღწერეს და გამოსცეს კიდეც ჩვენი ენციკლოპედიის ზომის ხუთტომეული — „სომხეთის ტოპონიმთა ლექსიკონი“.

დიდი ბრძოლის გადატანა დაგვჭირდა რათა როგორმე გადაგვერჩინა „ლაბორატორია“ და ეროვნული საქმე. ამისთვის მოსკოვშიც კი დაგვჭირდა რამდენჯერმე ჩასვლა და, თქვენ წარმოიდგინეთ, მათ უფრო გაიგეს ჩვენი გულისტკივილი და დახმარება აღმოგვიჩინეს — ონომასტიკურ სამეცნიერო ცენტრად გადაგვაკეთეს.

ამ პატრიოტული საქმისათვის ბრძოლაში ბევრი მამულიშვილი გვედგა მხარში სიტყვით თუ საქმით, უნივერსიტეტშიც და მის გარეთაც. ვფიქრობ, პირფერობად არავინ გამიგებს თუ აღვნიშნავ იმ ფაქტს, რომ ჩვენი საქმიანობით განსაკუთრებით დაინტერესებული იყო ბატონი ზვიად გამსახურდია. ის ყოველთვის აღშფოთებასა და გულისტკივილს გამოთქვამდა სხვადასხვა რეგიონებში ქართული ტოპონიმების შეცვლის გამო. მთავრობა ამაზე თვალს იბრმავებდა, ყურს იყრუებდა, ჩვენ კი ხელ-ფეხს გვიბორკავდნენ — ნუ გვანაწყენებთ, რა მოხდა, რა მნიშვნელობა აქვსო. ამით წათამამებულნი ისინი კიდევ უფრო მეტსა და მეტს მავნებლობდნენ. ეს მეტად საჭირბოროტო საკითხია. ტოპონიმების ხსენება ამიტომაც არის თითქმის ყოველ სესიაზე.

როცა არსებობისათვის იბრძვი, ბუნებრივია, ძირითად საქმეს ყურადღება მოაკლდება, ამიტომ ველარ ვიბრძოდით ჩვენს მიერ წამოყენებული წინადადებების გასატარებლად. ხშირად ისინი უყურადღებოდ რჩებოდნენ ან რედაქციების მხრიდან, ანდა თვით იმათგან, ვისაც უნდა გადაწყვეტილება მიეღო. ეს არ ეხება მხოლოდ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმს, ისინი ხშირად მოგვმართავდნენ საკითხის შესასწავლად. რაც შეეხება თბილისის საქალაქო საბჭოსთან არსებულ მრჩეველთა საბჭოს, იქ სპეციალისტები არ მოუწვევიათ; რატომღაც ითვლება, რომ ამ საქმეს ყველა იოლად გაუძღვება. გაუძღვება თუ ამ საქმიანობას დავიყვანთ მითითების შესრულებამდე: ამ ქუჩას ეს სახელი გადაარქვი და ის სახელი დაარქვიო. ასეთი საქმიანობის შესახებ ცნობილი რუსი ტოპონიმისტი ვ. ა. ნიკონოვი წერდა: „ტოპონიმიკური უცოდინარობა თანდათან დიდ უბედურებად იქცა პრაქტიკულ მოღვაწეობაში. გრანდიოზულია ახალი დასახლებებისა და ქუჩების რაოდენობა, რომლებიც სახელის შერქმევას საჭიროებენ; უამრავია ისეთიც, სახელი რომ უნდა გადაერქვას. ამ ვეებერთელა საქმეს კი ხანდახან ბრმად აკეთებენ ყოველგვარი ტოპონიმიკური ცოდნის გარეშე და თავის უცოდინარობაში ეჭვი სულაც არ ეპარებათ. ამისი შედეგია ის შეცდომები, რაც სახელმწიფოსა და მოსახლეობას ძვირად უჯდება“.

ერთი ქუჩისათვის სახელის შეცვლაც კი რამდენიმე ათასი მანეთი უჯდება სახელმწიფოს. დავიანგარიშოთ რამდენი აბრა, რამდენი ბეჭედი, შტამპი, ბლანკი, რამდენი საბუთი, რამდენი მოსამართი უნდა შეიცვალოს და მიხვდებით თუ რა ჯდება ქალაქისათვის სახელის შეცვლა. ამიტომ სახელი ერთხელ რომ შეიცვლება, ისე დასაბუთებულად უნდა შეიცვალოს, რომ მისი კვლავ შეცვლა აღარ იყოს საჭირო. არა და გუშინ აღდგენილ-გადარქმეული თუ შერქმეული სახელები ზოგ შემთხვევაში კვლავ გადარქმევას მოითხოვს. ვის მოუბრუნდება ენა 9 აპრილს დაღუპულთა სახელის უკვდავყოფის საწინააღმდეგოდ, მაგრამ ვფიქრობთ, სხვა რომელიმე ქუჩას უნდა შერქმეოდა მათი სახელი. და არა შიო ჩიტაძის ქუჩას, რატომ გავწირეთ ასევე რუსების ხიშტებით განგმირული დიდი მამულიშვილის სახელი, იმ კაცის, ვისაც ილია ჭავჭავაძე დიდად აფასებდა თურმე და იმჟამად ლენინგრადში მყოფმა პარაკლისიც კი გადაუხადა. ამ ქუჩისათვის მისი სახელი იმიტომ შეურქმევიათ თავის დროზე, რომ ამ ქუჩაზე ცხოვრობდა. თუნდაც მეტროს სადგურების სახელები რომ ავიღოთ, მათში უგულვებელყოფილია სამისამართო ფუნქცია. ჩვენ (ზურაბ სარჯველაძე, ზურაბ ვახანია და მე) სულ ახლახან ვწერდით: მეტროს სადგურ „კომკავშირელს“ უნდა გადაერქვას სახელი და „ვეძისი“ ეწოდოსო, რადგან ამ ადგილს ვეძისი ეწოდება. მათ კი დაარქვეს „სამედიცინო უნივერსიტეტი. სადგურთან უფრო ახლოა სასტეტი“. ჯერ ერთი, სად ეს სადგურია და სად სამედიცინო უნივერსიტეტი. სადგურთან უფრო ახლოა სასტუმრო „აფხაზეთი“, რესპუბლიკური პოლიკლინიკა“ — მაშინ იმათი სახელები ეწოდებინათ. თუკი ობიექტის სიახლოვეს, ან ადგილის სახელს არ გაუწევთ ანგარიშს, ასეთ შემთხვევაში, რატომ არ შეიძლებოდა ამ სადგურისათვის ეწოდებინათ „ცირკი“ ან „იპოდრომი“? თანაც რა მოსაწონია მეტროთა სახელწოდებებად ზედიზედ ამდენი ერთფეროვანი კოსმოპოლიტური სახელი: „ტექნიკური უნივერსიტეტი“, „სამედიცინო უნივერსიტეტი“, „სახელმწიფო უნივერსიტეტი“. არ აჯობებდა „ტექნიკური უნივერსიტეტის“ ნაცვლად „საბურთალო“ შეგვერქვა იმ სადგურისათვის?

თბილისის ქუჩების შესახებ ხომ ნულარ იტყვით! დიდი ქაოსია. ახლა გადარქმევების შედეგად გაჩნდა სამი და ოთხი ერთი სახელწოდების ქუჩა. მაგალითად ყაზბეგის ქუჩა თბილისში სამი თუ ოთხია. მოსაგვარებელია ქუჩების სახელწოდებათა თარგმნა-უთარგმნელობის, სწორად წერის საკითხები და სხვ.

ყოველივე ზემოთქმულის საფუძველზე ვფიქრობთ დღეს მაინც უთუოდ უნდა შეიქმნას სპეციალისტებისაგან დაკომპლექტებული ქვეკომისია, რომელიც

ა) მთელი საქართველოს მასშტაბით დაიწყებს აღსადგენი სახელების შესწავლა-გადარქმევას საარქივო მასალებისა და საკითხის ადგილზე გარკვევის საფუძველზე;

ბ) შეისწავლის ახალ სახელწოდებათა მიკუთვნების ვითარებას და გასცემს რეკომენდაციებს;

გ) იზრუნებს გვარ-სახელების მოწესრიგებაზე და სარეკომენდაციო წიგნების შესწორებაზე;

დ) კონტროლს გაუწევს და რეკომენდაციებს გასცემს მაღაზია-დაწესებულებების, ფირმების, კოოპერატივების და გამოშვებული პროდუქციის სახელწოდებებზე;

ე) იზრუნებს ონომასტიკური მასალების გამოქვეყნებაზე;

ვ) ფილოლოგიის, ისტორიის, გეოგრაფიის ფაკულტეტებზე შემოღებულ იქნას ონომასტიკის კურსი.

ეს არის ონომასტიკის ძირითადი საკითხები, ისე კი, სხვაც ბევრი წვრილმანია ამ მხრივ მოსაგვარებელი. ონომასტიკა არც ერთ ცივილიზებულ ქვეყანაში კონტროლის გარეშე არ არის მიშვებული.

**ბიბი ხორნაული,**

**ივანე ჯავახიშვილის სახ. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ტოპონიმიკის ლაბორატორიის უფრ. მეცნიერ თანამშრომელი, მეცნიერებათა კანდიდატი.**

# ჩვენი პოზიცია

სრულიად საქართველოს ადამიანის უფლებათა დაცვის ასოციაციის დამფუძნებელი კონფერენცია ჩატარდა ა/წ 6 თებერვალს, ასე რომ თქვენს გაზეთ „თავისუფალ საქართველოში“ (15. II. 91.) გამოქვეყნებულ ინფორმაციაში „მსგავსი პოზიცია თუ ოპოზიცია?“ აღნიშვნა იმისა, რომ თითქოსდა „იქმნება ახალი საზოგადოებრივი ორგანიზაცია“, — არ შეესაბამება სინამდვილეს, იგი უკვე შექმნილია და არსებობს. რაც შეეხება პროგრამასა და წესდებას, ჩვენმა წარმომადგენლებმა ჰელსინკის კავშირს გააცნეს 5. II. 91.-ს.

გასაგებია თქვენი შეშფოთება და წუხილი იმის გამო, რომ „ეს ერთი მუჭა საქართველო იშლება და ნაწილდება უამრავ პოლიტიკურ პარტიად, კავშირად, ასოციაციად... და ა. შ.“ მათგან ხომ აბსოლუტურ უმრავლესობას არც გამოკვეთილი პოლიტიკური ხაზი და არც ერის არსებობის პირველწყაროდან გამომდინარე მსოფლმხედველობა არ გააჩნია და რა თქმა უნდა, არც ის „საყოველთაოდ აღიარებული სოლიდური სტაჟი და პრესტიჟი“, რომელიც მხოლოდ ჰელსინკის კავშირის, უფრო სწორად კი, ზვიად გამსახურდიასა და მერაბ კოსტავას სახელებთანაა დაკავშირებული. ყველამ კარგად ვუწყით მათი ღვაწლი და დამსახურება. მაგრამ თქვენ მოგეხსენებათ, რომ სწორედ მერაბ კოსტავას ინიციატივით დაარსდა წმინდა ილია მართლის საზოგადოება და რომ მისი პიროვნული ძალისხმევა ეროვნულ მოძრაობაში ყოველგვარი კონფრონტაციის წინააღმდეგ იყო მიმართული, რადგან იგი ერთიანობას ყოველთვის მრავალფეროვნებაში ხედავდა და მრავალფეროვნებას ერთიანობაში. ამიტომ თქვენს მიერ ხაზგასმული „საგანგებო სიფრთხილე“ ამ კონტექსტში მხოლოდ გაოცებას იწვევს. ჩვენ არ დავუშვებთ, რომ პარტიულ ორთაბრძოლაში (ხშირად ძალაუფლებისათვის ქვეცნობიერ ბრძოლაში) დაიკარგოს ეროვნული იდეა.

28 ოქტომბრის შემდგომ ბევრი რამ შეიცვალა ჩვენს ცხოვრებაში — მრავალპარტიული არჩევნების შედეგად დაიწყო დემოკრატიული თვითმმართველობის ორგანოთა აღორძინებისა და დამკვიდრების პროცესი და ამ პროცესის მსვლელობაში თავის დაიმედებას იმით, რომ „მთლიანობაში ქვეყნის მართვა-გამგებლობა გადავა ერის რჩეულთა საიმედო ხელში“ უთუოდ აკლია არგუმენტირება, რადგან მართლაც არსებობს საშიშროება ახალი იმპერიული მაფიის მომძლავრების (ამას ხომ აღმასრულებელ და სასამართლო ხელისუფლების მთავარ სტრუქტურებში ძველი ნომენკლატურის „დატოვებაც“ ადასტურებს). ასე რომ არა საზოგადოებრივსა თუ თვითკონტროლს „დაუმორჩილებელი“ ნებაყოფლობითი გაერთიანებებია მიზეზი დემოკრატიული აღმშენებლობის მოსალოდნელი კატაკლიზმების, არამედ თვით ადამიანში, პიროვნებაში არსებული საბჭოთა ადამიანის ორეული, რომლისაგან განთავისუფლებას ყველანი უნდა ვესწრაფოდეთ. და უპირველეს ყოვლისა, — ჩვენი თავისუფალი ნება გამოიხატება არჩევანის თავისუფლებაში, საზოგადოებრივ-პოლიტიკურ ცხოვრებაში პიროვნული თავისუფლების იდეის განხორციელებაში, ამის გამო ვერავითარი „ინტერესების მორგება ასამდე პოლიტიკური პარტიისა თუ ორგანიზაციის წესდებით განსაზღვრული მიზნებისათვის“ ჩვენთვის არა თუ მიუღებელია, არამედ პიროვნული ღირსების შეურაცხმყოფელი.

ზემოთქმულიდან გამომდინარე თქვენი ეჭვი თუ ვარაუდი „სასიკეთო საქმეთა კეთების სურვილთან“ მიმართებაში ერთობ გაუგებარი და ოდიოზურია, — „პირველობისა და გავლენის მოპოვების ჟინი“, როგორც ამას თქვენ აღნიშნავთ ჩვენი ორგანიზაციის შექმნის მოტივირებასთან დაკავშირებით; ჩვენი აზრით, ვინც ამ ჟინით იყო განმსჭვალული დღეს მეტნაკლებად კიდეც მიაღწია საწადელს: საზოგადოებრიობის მიერ ე. წ. „აღიარებას“ და სხვ. ამ მხრივ არა გვგონია რაიმე შეხების წერტილი ჰქონდეს ჩვენს წარსულ პოლიტიკურ მოღვაწეობას ჩვენს დღევანდელ სტატუსთან, მით უმეტეს, რომ არც „პარალელიზმის მოშველიება“ იყო ჩვენთვის თვითმიზანი. უმთავრესი მოტივი უფლის სიტყვებია „შეიცანით ჭეშმარიტება და ჭეშმარიტებამ განგანთავისუფლეს თქვენ“. ამ შემთხვევაში საწინააღმდეგო აზრიც შეიძლება წარმოიშვას: კი მაგრამ, ამისათვის განა საჭიროა პოლიტიკურ ასპარეზზე თვითდამკვიდრება? თქვენი აზრით ეს ხომ „უხერხულობის“ ან „დაპირისპირების“ შექმნის მცდელობაა, ჩვენ კი ისევ წმინდა წერილიდან გიპასუხებთ: „რამეთუ სადაც იყვნენ ორნი გინა სამნი შეკრებულნი სახელისა ჩემისათვის, მუნ ვარ მე შორის მათსა“. (მათე 18. 20).

დაბოლოს, უნდა აღინიშნოს ისიც, რომ ჩვენი ორგანიზაცია ჰელსინკის კავშირისაგან განსხვავებით არასამთავრობო ხასიათისაა, (არჩევნებში არ ღებულობს მონაწილეობას). ჩვენი აზრით გარკვეულწილად „შუალედური როლის“ ძალაც გაგვაჩნია, ქმედება-უკუქმედების გამაწონასწორებელი ერსა და ხელისუფლებას შორის. გარდა ამისა, ყოველ ცივილიზებულ ქვეყანაში არსებობს ადამიანის უფლებათა დაცვის ასოციაციები სხვადასხვა სახელწოდებებით მოქმედნი, რომლებიც მსოფლიო ალიანსში შედიან. არა გვგონია რომელიმე მათგანი პრეტენზიას აცხადებდეს ადამიანის საყოველთაო უფლებათა დაცვის მონოპოლიაზე, ეს მხოლოდ ტოტალიტარულ სახელმწიფოშია შესაძლებელი.

დღეს ჩვენი მისსია, რომელიც ერის თავისუფალ ნებას ემყარება, სწორედ ადამიანის — თავისუფალი არსებობისა და მსოფლიო მოქალაქის უფლება-მოვალეობათა გაცნობიერება და აღსრულებაა.

**სრულიად საქართველოს ადამიანთა უფლებათა დაცვის მთავარი კომიტეტი.**

# წერილი „თავისუფალ საქართველოს“ რედაქციას

თქვენი გაზეთის ა. წ. 8 თებერვლის (№ 3) პუბლიკაციაში „კომუნისტურ საზოგადოებაში პატიოსან კაცს არ ედგომება...“ მოტანილია ჩემი სიტყვები: „ჩემთან რიგ-რიგობით მოვიდნენ თ. ბადურაშვილი, ნუგზარ ფოფხაძე, ავთო საყვარელიძე და მთხოვეს უკან წამეღო ჩემი ხელმოწერა“.

ყოველივე ზემოთქმულს მინდა დავძინო შემდეგი — განსხვავებით ბოლო ორი მნახველისაგან, რომლებიც ერთობ აგრესიულნი იყვნენ, თემო ბადურაშვილმა სიტყვასიტყვით მითხრა: „მე კი გამომაგზავნეს, მაგრამ ვიცი შენ უკან წამღები არა ხარ“.

რაც შეეხება საავადმყოფოდან ჩემს დათხოვნას, ცხადია, ეს სტაციონარის დირექციის დაუკითხავად მოხდა. ფოფხაძემ გამომიცხადა: „ედუარდმა შემოგითვალა მორჩი აქ კოტრიალს და სახლში წადიო“.

არ შემეძლო ეს არ გამომეთქვა, რადგან პირადად მე ყველას ერთ ქვაბში ვერ მოვხარშავ.

**პატივისცემით**

**გიგა ლორთქიფანიძე.**

# ორმეფობა ქართლში

**„ქართლის** ცხოვრების" მიხედვით ადერკიმ, ქართლის მე-10 მეფემ, თავის შვილებს ბარტომსა და ქართამს სამეფო ორად, მტკვარგაღმა და მტკვარგამოღმა მზარეებად გაუყო. ერთი დასვა მცხეთაში, მეორე კი — არმაზში.

ქართლში ორმეფობის ხანა დაიწყო.

ლეონტი მროველი მოიხსენიებს მეფეთა 5 წყვილს, რომლებიც ერთდროულად მართავდნენ ქართლს: ბარტომი და ქართამი, ფარსმანი და კაოსი, აზორკი და არმაზელი, ამაზასპი და დეროკი, ფარსმან ქველი და მირდატი.

ისტორიკოსთა ნაწილი თვლის, რომ ქართლში ორმეფობას მართლა ჰქონდა ადგილი და სამეფოს დასუსტების შედეგი იყო, მაგრამ მკვლევართა უმეტესობას მიაჩნია — ორმეფობაში იგულისხმება ნამდვილი მეფე და მეფის შემდგომი მეორე პირი, მთავარსარდალი (სპასპეტი). ჩამოთვლილი წყვილებიდან ნამდვილი მეფეები უნდა იყვნენ ქართამი, ფარსმანი, აზორკი, ამაზასპი და ფარსმან ქველი, დანარჩენები კი, სპასპეტები.

აგრეთვე, უნდა აღინიშნოს, რომ „ქართლის ცხოვრებისგან" განსხვავებით, „მოქცევაი ქართლისაი" მეფეების პირველ წყვილს ასახელებს არა ქრისტეს დაბადების შემდეგ 57 წელს, არამედ ქრისტეს დაბადებამდე II საუკუნის 60-იან წლებში.

მაგრამ მივყვეთ „ქართლის ცხოვრებას".

ლეონტი მროველის ცნობით, ბარტომისა და ქართამის დროს იერუსალიმიდან „ოტებულნი ურიანი მოვიდეს მცხეთას და დასხდეს ძველთავე ურიათა თანა".

ფარსმანისა და კაოს მეფობისას სომხეთის მეფე იარავანდმა შემოუტია ქართლს, „მოუღო საზღვარსა ქართლისასა ქალაქი წუნდა და არტანი მტკურამდეჱ, და დაასხნა წუნდას შინა კაცნი მხეცნი. ნათესავნი დევთანი, და უწოდა სახელად საჯატუნი, რომელი ითარგმნების დევთა სახლად".

აზორკისა და არმაზელის დროს ქართველ-სომეხთა ბრძოლა გაგრძელდა, მიმდინარეობდა გარდამავალი უპირატესობით. სხვათა შორის, ჩრდილოკავკასიელი მთიელები ქართველების მოკავშირეებად გამოსულან. მრავალწლიანი ომი ზავით დამთავრდა. ქართველებმა დროებით დაკარგული ტერიტორია დაიბრუნეს, სანაცვლოდ სომხეთს სამხედრო დახმარება აღუთქვეს. „სომეხთა უკმოსცეს საზღვარი ქართლისა, ქალაქი წუნდა და ციხე დამოთისა, ჯავახეთი და არტანი, და მიერითგან იქნეს მოყუარე სომეხნი და ქართველნი და ოვსნი, სამნივე ერთად ბრძოდეს მტერთა". ამაზასპისა და დეროკის მეფობის შესახებ მატიანე არაფერს ამბობს. ფარსმან ქველისა და მირდატის დროს ომი დაწყებულა ქვეყნის შიგნით, ქართლის ორ მეფეს შორის. მირდატს სპარსელები უჭერდნენ მხარს (ცოლი სპარსელი ჰყავდა), ფარსმან ქველს კი სომხები (მისი ცოლი სომეხთა მეფის ასული იყო). „ესე მირდატ იყო კაცი ურვილი და მოსისხლე, ხოლო ფარსმან ქველი — კაცი კეთილი და უხუად მომნიჭებელი და ძლიერი, მხნე, მხედარი, შემმართებელი ბრძოლასა, უშიში ვითარცა უხორცო, და ყოველთა უმჯობესი, ყოველთა მეფეთა ქართლისათა, რომელნი გარდაცვალებულ იყუნეს უწინარეს მისსა".

მირდატი სპარსეთში გაიქცა. ფარსმან ქველმა სპასპეტი ფარნავაზი, „ეგრეთვე ქუელი და გოლიათი... ძუძუსმტე ფარსმანისი, ერთგული, სარწმუნო და მისანდობელი... დაადგინა ქართლსა, ადგილსა მირდატისსა". მაგრამ მირდატი მობრუნდა, ქართლში სპარსელთა ლაშქარი შემოიყვანა. „იწყეს ბრძოლად მუმბარეზთა დღეთა მრავალთა; და რომელი გამოჩნდის მუმბარეზი სპარსთა შორის, რომელსა ვერ ებრძოდიან მუმბარეზნი ქართლისანი, მას ზედა განვიდის თუით მეფე ფარსმან ანუ სპასპეტი მისი ფარნავაზ, აჯობიან და სძლიან. და მას ბრძოლასა შინა მოკლა ფარსმან მეფემან ჩუიდმეტი მუმბარეზი სპარსი, ხოლო სპასპეტმან მისმან მოკლა ოცდა სამი". ფარსმან ქველმა განგმირა გოლიათი ჯონბერ, რომელი ლომსა ხელით შეიპყრობდა". მირდატი დამარცხდა, უკუიქცა. შემდეგ წელს ომი განახლდა, კვლავ ქართველებმა იმარჯვეს. „წარვიდა მირდატ ძეოტი სპარსეთადვე. ამიერითგან განითქუა სახელი ფარსმან ქველისა და სპასპეტისა მისისა ფარნავაზისი. წინამძღუარ ექმნა იგი სპათა სომხითისათა, და იწყო ბრძოლა სპარსთა და შესლვად სპარსეთს, და ვერა ოდეს წინაღუდგეს სპარსნი".

სპარსელები სამხედრო ძალით რომ ვერაფერს გახდნენ, მზაკვრობას მიმართეს, ფარსმან ქველს მოუგზავნეს მზარეული კაცი, რომელმაც ქართლის მეფე მოწამლა და მოკლა. „მაშინ იქმნა გლოვა, ტირილი და ტყება ყოველთა ქართველთა ზედა, წარჩინებულთაგან, ვიდრე გლახაკთამდე".

სპარსელები ქართლში შემოვიდნენ, მირდატს მისი ნაწილი ჩააბარეს, ფარსმანის ნაწილი კი თვითონ დაიკავეს, „ხოლო მეგრნი დადგეს ერთგულებასა ფარსმანის ძისასა". ფარნავაზ სპასპეტმა ფარსმან ქველის ცოლი და ძე სომხეთში გახიზნა. იმ დროს ბერძნები სომხების მოკავშირეები იყვნენ. მათი დახმარებით ლაშქარი შეკრიბეს, „ეშუელნეს მეგრნი", და სპარსელებს ბრძოლა გაუმართეს „მდინარესა ზედა, რომელსა რქუიან ლიახუი... მოკლეს მირდატ და ერისთავი სპარსთა, და მოსრნეს სპანი მათნი". ქართველებმა გაიმარჯვეს, „დასუეს მეფედ ძე ფარსმან ქველისა". ქართლში ორმეფობის ხანა დასრულდა.

მოამზადა
**ირაკლი ლომოურმა.**

# როგორ შევინარჩუნოთ საბჭოთა კავშირი

## რაციონალიზატორული წინადადება

## (ფელეტონი)

**ამხანაგო** მიხეილ სერგის ძევ! გწერთ გულმტკივნეული ქართველი კომუნისტი, რომელსაც ჩვენი პროგრესულ-ჰუმანური, ძმურ-მძლე კავშირის ბედი ისევე აღელვებს, როგორც ცხონებულ ენგელსს ოჯახი, კერძო საკუთრება და სახელმწიფო. ამხანაგო გენ. მდივანო! გულისნადებს პირდაპირ შუბლში მოგახლით, ნუ მიწყენთ. გადამპალი იმპერიალისტური სახელმწიფოების მოღორება-გაცურებით თქვენ, ეტყობა, ისე ხართ გართული, რომ ვერ ხედავთ რა დღეში ჩავარდა ჩვენი კავშირი — რესპუბლიკები თითებშუა გვეპარება, როგორც ჩიბუხის ბოლი ბელადის ულვაშებში. რას უყურებთ?! საქმეს ვერც ნობელის ნაჩუქარი ვალუტა (სხვათა შორის, მშრომელთა ექსპლუატაციის გზით ნაშოვნი) უშველის და ვერც იაშას ბიჭთან ფარული მეგობრობა! ჩემი კომუნისტური ალღო-გუმანი მეუბნება, რომ თქვენ არ იცით რა მოიმოქმედოთ, იმიტომ, რომ არ იცით მთავარი მიზეზი — რატომ გადიან რესპუბლიკები კავშირიდან.

მე გეტყვით, თვალს აგიხელთ — რესპუბლიკებს სწყინთ, რომ დიდი და ცოცხალი ლენინი მოსკოვიდან ფეხს არ იცვლის! კი, მესმის, მოსკოვი ქვეყნის გულია, ლენინი კი ამ გულის მთავარი პარკუჭი, მაგრამ მშრომელებზე ზრუნვით დღე-ღამის გამასწორებელი ბელადი ხომ უნდა დაგვენახოს ზრუნვის საგნებს ჩანგამოშვებით?! მოსკოვში ყველა ვერ ჩავდივართ, ადგილებზე ვაშენებთ კომუნიზმს, გინდაც ჩავიდეთ, მავზოლეუმში იმხელა რიგია, იდეურად უმწიფარ მოქალაქეს თხევადი რამ პროდუქტის რიგი შეიძლება ეგონოს (ამბობენ, ბოლო დროს წითელ მოედანზე რიგი შეთხელდაო, მაგრამ — არ მჯერა, არა, არაო!). ასე და ამგვარად, მოკავშირე კომუნისტი თავს დაჩაგრულად გრძნობს, ლენინი ყველას გვეკუთვნის — არა მხოლოდ ცენტრელ ამხანაგებს — თვალით კი არ გვენახვება! ჰოდა, როცა დაჩაგრულად გრძნობს თავს, იბუტება, ბალღივით გამორბის კავშირიდან, მაგრამ, მერწმუნეთ, ამ საქციელს დიდი, ვეება ლენინის ალალი ტრფიალი უდევს სარჩულად, მეტი არაფერი!

ჩემი წინადადებაა — იმისთვის, რომ შევინარჩუნოთ კავშირი — მავზოლეუმი უნდა შევაყენოთ ბორბლებზე და რკინის გზით გავუშვათ მთელს ქვეყანაში სამოგზაუროდ!

წარმოიდგინეთ, როგორი სიამით აძგერდება ადგილობრივი კომუნისტის გული, როდესაც ზემდგომი ამხანაგი გამოუცხადებს — ხვალ ჩამოდის რონოდა-მავზოლეუმი, ხვალ გვესტუმრება უკვდავი ლენინი! ვეგებებით დილის 6 საათზე, გაიმართება საზეიმო-სამგლოვიარო მიტინგი!

ლენინის ასეთი ამჩატებ-აცქვიტება ერთი ხელის დაკვრით გადაჭრის საბჭოთა კავშირის შენარჩუნების საჭირბოროტო საკითხს, საბჭოთა ხალხიც ახალი შემართებით შეუდგება კომუნიზმის სამარადჟამო მშენებლობას!

პროლეტარულად გემშვიდობებით, გართმევთ დაკოჟრილ ხელს.

**ლადო ოცდაექვსკომისრელი**

**P.S. შეიძლება მოგინდეთ ლენინის თვითმფრინავით გამოგზავნა. ნუ იზამთ ამას! რამე რომ მოხდეს და ლენინი ადგილობრივ კომუნისტს გაუფრთხილებლად თავზე დაეცეს, ხომ გაუსკდა გული სიხარულით!**

**ლადო ჩელუსკინელხიდელი**

# ვაცლავ ჰაველი

# წერილი გუსტავ ჰუსაკს

## ჩეხოსლოვაკიის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის გენ-ერალურ მდივანს, პატივცემულ ბატონ დოქტორ გუსტავ ჰუსაკს

**რა** გასაკვირია, რომ საზოგადოებრივი ხელისუფლების წარმომადგენლები, წლების მანძილზე შეჩვეულნი სრულ თანხმობას, ერთსულოვნებას, აუცილებელ მხარდაჭერას და აბსოლუტურ ერთიანობას აბსოლუტურ საყოველთაო თვალთმაქცობაში, ასეთ წუთებში დათრგუნული გრძნობის ამგვარი ამოხეთქვით ისე არიან შოკირებულნი, რომ წარმოუდგენელ საფრთხეში გრძნობენ თავს და თავის საფრთხეში — როგორც სამყაროს არსებობის ერთადერთი გარანტები — ხედავენ წარმოუდგენელ საშიშროებას მთელი სამყაროსათვისაც, და არც კი ყოყმანობენ თავის თავისა და მის გადასარჩენად მილიონიანი უცხო ჯარის გამოძახებას!

ერთი ასეთი აფეთქება ცოტა ხნის წინ გადავიტანეთ! ისინი, რომელნიც წლების განმავლობაში ამცირებდნენ და შეურაცხყოფდნენ ადამიანს და რომლებიც მერე ისე იყვნენ შოკირებულნი, რომ ამ ადამიანმა ხმის ამოღება სცადა, დღეს იმ დროს „ვნებათა ამოხეთქვას" უწოდებენ. კერძოდ, რა ვნებებმა ამოხეთქა? ვინ იცის, რა ხანგრძლივი და მრავლისმომცველი დამცირება უძღოდა წინ ამ ამოხეთქვას და ვისაც ესმის ამ ფსიქოლოგიურ-სოციალური მექანიზმის ექსპლოზიური რეაქცია დიდი ხნის განმავლობაში გადატანილი დამცირებისა, უმალ გაკვირვებული უნდა ყოფილიყო იმით, თუ შედარებით რა მშვიდი, საქმიანი და ლოიალური ხასიათიც კი ჰქონდა მთელ ამ „ამოხეთქვას". მიუხედავად ამისა, ჩვენ ის „სიმართლის წამი", როგორც ცნობილია, ძვირად დაგვიჯდა.

**დღევანდელი საზოგადოებრივი ხელისუფლება ღრმად განსხვავდება იმისაგან, რომელიც წინ უსწრებდა ამ აფეთქებას.** არა მხოლოდ იმიტომ, რომ მაშინ, როდესაც ის, ასე ვთქვათ „ორიგინალი" იყო, ეს მხოლოდ მისი ფორმალიზებული იმიტაციაა, რომელსაც არ ძალუძს ასახოს ის ზომა, რა ზომითაც იყო — ამასობაში — დემისტიფიცირებული ეს „ორიგინალი", არამედ, უპირველეს ყოვლისა, იმიტომ, რომ მაშინ, როდესაც ადრინდელი ხელისუფლება ეყრდნობოდა რეალურ და არავითარ შემთხვევაში უგულებელსაყოფ სოციალურ ზურგს მოსახლეობის ნაწილის ნდობით სავსე მხარდაჭერის სახით, და რეალურ, არავითარ შემთხვევაში არა უგულებელსაყოფ, მაგრამ მაინც თანდათანობით დაშრეტილ რწმენას დასაწყისში შეპირებული სოციალური პერსპექტივებისას, ეს, დღევანდელი, ეყრდნობა უკვე მხოლოდ მმართველი უმცირესობის თვითდაცვის ინსტინქტს და შიშს მართული უმრავლესობისას.

ასეთ ვითარებაში ძნელი წარმოსადგენია ყველა შესაძლებელი ალტერნატივა მოსალოდნელი მომავალი „სიმართლის წუთის" მდინარებისა, ანუ მეთოდი, რომლითაც მთელი საზოგადოებრივი შეგნება ასე კომპლექსურად და აშკარად შესძლებდა კიდევ ერთხელ მოეთხოვა დაკმაყოფილება; და უკვე საერთოდ შეუძლებელია გამოვიცნოთ იმ ტრაგიკული შედეგების მასშტაბი და სიღრმე, რომელსაც ის წუთი მოიტანდა ან ცაბოლოოდ უნდა მოეტანა ჩვენი ერებისათვის.

ასეთ შემთხვევაში ადამიანი უნდა განცვიფრდეს: **რა დიდია იმ ხელისუფლების უუნარობა, რომელიც თავს ახადებს ყველაზე მეცნიერულად, რაც კი ოდესმე არსებულა, შეიგნოს თავისი მუშაობის ელემენტარული კანონები და ისწავლოს თავისი საკუთარი ისტორიიდანვე.**

ცხადია, არ მეშინია, რომ დღევანდელი მმართველობის დადგომით ჩეხოსლოვაკიაში ცხოვრება შეწყდა და საბოლოოდ შეჩერდა ისტორია. დღემდე ისტორიაში ყოველი სიტუაციის და ყოველი ეპოქის შემდეგ დგებოდა სხვა სიტუაცია და სხვა ეპოქა და აქამდე ყოველთვის დგებოდა — ადამიანის საბედნიეროდ თუ საუბედუროდ — ახალი სიტუაცია ან ეპოქა, სრულიად განსხვავებული მომავლის შესახებ ყველა იმ წარმოდგენისაგან, რომელიც ჰქონდათ წინა ეპოქის ორგანიზატორებს და მმართველებს.

მაგრამ მე სხვა რამის მეშინია. კერძოდ, ეს წერილი იმაზე მეტყველებს, რისიც სინამდვილეში მეშინია, **იმ უაზროდ მკაცრი და ხანგრძლივი შედეგებისა, რაც ამ დღევანდელ ხელისუფლებას ექნება ჩვენი ერებისათვის.** მეშინია იმისა, რითაც იძულებული ვიქნებით ვზღოთ ის სასტიკი დათრგუნვა ისტორიისა, ის მკაცრი და უსარგებლო შეწყვეტა ცხოვრებისა სადღაც საზოგადოების და ადამიანის სულის იატაკქვეშეთში, ის ახალი ნაძალადევი „გადავადება" ყველა მცირედ მაინც ბუნებრივი შესაძლებლობისა ვიცხოვროთ, როგორც საზოგადოებამ. და როგორც, ალბათ, იქიდან გამომდინარე, რაც ზემოთ ვთქვი, ჩემთვის საქმე მხოლოდ ის არაა, თუ რას ვიხდით სისტემატურად საზოგადოებრივი ძალმომრეობისა და ადამიანური დამცირების სიმწარის საფასურით და არც მხოლოდ იმ საზღაურში, რაც იძულებული ვიქნებით ვზღოთ საზოგადოების ხანგრძლივი სულიერი და მორალური დაცემისათვის, არამედ საქმე დღეისთვის იმ ძნელად წარმოსადგენ საზღაურშია, რომელსაც ჩვენ ყველას მოგვიტანს ის წუთი, როდესაც მომავალში თავის უფლებებს მოითხოვს ცხოვრება და ისტორია.

ქვეყანაში წამყვანი პოლიტიკოსის პასუხისმგებლობა სიტუაციის მიმართ სხვადასხვაგვარია და არასოდეს არ არის აბსოლუტური; მარტო არავინ მართავს, მაშასადამე, პასუხისმგებლობის წილი აწევთ იმათაც, ვინც წამყვან პოლიტიკოსებს არტყია გარს; არცერთი ქვეყანა არ ცხოვრობს ვაკუუმში, მის პოლიტიკაზე, ასე თუ ისე, ყოველთვის ახდენს გავლენას სხვა ქვეყნების პოლიტიკა; რა თქმა უნდა, ბევრ რამეზე პასუხს აგებენ ისინიც, რომლებიც ადრე მართავდნენ ქვეყანას და რომელთა პოლიტიკამაც განსაზღვრა ის სიტუაცია, რომელშიც ქვეყანა აღმოჩნდება. ბევრ რამეზე, ბოლოსდაბოლოს, მოქალაქენიც აგებენ პასუხს — თუნდაც თითოეული ცალ-ცალკე, ანუ როგორც სრულუფლებიანი არსება, რომელიც თავისი ყოველდღიური გადაწყვეტილებებით ქმნის საერთო ვითარებას, ანდა ყველა ერთად, როგორც გარკვეული სოციალურ-ისტორიული მთლიანობა, ლიმიტირებული იმ პირობებით, რომელშიც ის ვითარდება და ამავე დროს უკურეაქციით ამ პირობებითვე ლიმიტირებული.

ამ შეზღუდვების მიუხედავად, რომელნიც, რა თქმა უნდა, დღევანდელ პირობებშიც ძალაშია, თქვენი პასუხისმგებლობა, როგორც წამყვანი პოლიტიკოსისა, ისევ და ისევ დიდია: თქვენ წყვეტთ, რა კლიმატში უნდა ვიცხოვროთ ჩვენ ყველამ და ასევე პირდაპირი გავლენა გაქვთ იმ საზღაურის საბოლოო ზომაზე, რომელსაც ჩვენი საზოგადოება გადაიხდის თავის დღევანდელ „კონსოლიდაციაში".

ჩეხებსა და სლოვაკებში — ისევე, როგორც ყოველ ერში — პარალელურად არსებობენ უმრავალფეროვანესი წანამძღვრები. გვყავდა, გვყავს და გვეყოლება გმირები, ისევე, როგორც გვყავდა, გვყავს და გვეყოლება გამცემები და მოღალატეები. ჩვენ ძალგვიძს განვავითაროთ ჩვენი შემოქმედებითობა და ფანტაზია, სულიერად და მორალურად აღვზევდეთ მოულოდნელი საქმეებისათვის, ვიბრძოლოთ საკუთარი სიმართლისათვის და თავი გავწიროთ სხვათათვის. მაგრამ სწორედ ასევე ჩვენ შეგვიძლია არხეინად მხართეძოზე წამოვწვეთ, არ გვაინტერესებდეს არაფერი; გარდა საკუთარი მუცლისა და კვანტის გამოდებისა. და თუმცა ადამიანის სული ნახევარლიტრიანი ქოთხა არ არის, რომ ვისაც რა მოეპრიანება შიგ ის ჩაასხას (ეს ქედმაღლური წარმოდგენა ადამიანებზე ხშირად გამოჩნდება ხოლმე ოფიციალურ გამოსვლებში საზარელი ფრაზის ფორმით — რომ „ჩვენ" — ანუ მთავრობამ — ესა თუ ის „შევიტანეთ ხალხის თავებში").

მიუხედავად ამისა, უდიდესი მნიშვნელობა აქვთ ბელადებს, თუ ყველა იმ ურთიერთსაწინააღმდეგო დისპოზიციებიდან, რომელნიც საზოგადოებაში თვლემენ, რომელნი იქნებიან მობილიზებულნი, ამ პოტენციათაგან რომელთ მიეცემათ გასაქანი და რომელნი იქნებიან დათრგუნულნი.

ჯერჯერობით ჩვენში სისტემატურად არის აქტივიზირებული და განვითარებული ყველაზე საშინელი რამ — ეგოიზმი, მლიქვნელობა, გულგრილობა, სიმშვიდე, შიში, მორჩილება, მისწრაფება ყველაფრის თავიდან აცილებისა საერთო შედეგების მიუხედავად.

ამასთანავე, ჩვენს დღევანდელ მთავრობას აქვს საშუალება თავისი პოლიტიკით ისე იმოქმედოს საზოგადოებაზე, რომ ჩვენში გასაქანი მიეცეს არა ცუდს, არამედ კარგს.

ჯერჯერობით თქვენ აირჩიეთ თქვენთვის ყველაზე ხელსაყრელი და საზოგადოებისათვის კი ყველაზე სახიფათო გზა: ანუ გზა გარეგნული მორჩილებისა, შინაგანი დაცემის ფასად, გზა ენტროპიის ზრდისა სიცოცხლის მოკვდინების ფასად, **გზა მხოლოდ თქვენი ხელისუფლების დაცვისა საზოგადოებაში სულიერი და მორალური კრიზისის გაღრმავების ფასად, ადამიანის ღირსების ყოველმხრივი დამცირების ფასად.**

ამავე დროს თქვენ გაქვთ საშუალება თქვენი შეზღუდვების ფარგლებშიც კი გააკეთოთ ბევრი რამ სიტუაციის შედარებით გასაუმჯობესებლად მაინც. შეიძლება ეს უფრო რთული გზა იყოს, ნაკლებად მადლიერი, მისი შედეგებიც მაშინვე არ გამოჩნდეს, ბევრგან წააწყდეთ წინააღმდეგობას, მაგრამ ჩვენი საზოგადოების ჭეშმარიტი ინტერესებისა და პერსპექტივის თვალსაზრისით ეს გზა შეუდარებლად გონივრული იქნებოდა.

როგორც ამ ქვეყნის მოქალაქე, ამით ცხადად და საჯაროდ მოვითხოვ თქვენგან და თქვენი რეჟიმის ყველა წამყვანი წარმომადგენლისაგან, რათა მიაქციოთ ყურადღება იმ ურთიერთკავშირებს, რომლებზეც თქვენი ყურადღების მიპყრობა ვცადე, რომ მათ ფონზე აწონდაწონოთ თქვენი ისტორიული პასუხისმგებლობის ზომა და მასთან თანხმობაში მოიქცეთ.

8 აპრილი — 1975

ჩეხურიდან თარგმნა
**მაკა ნაჭყებიამ**

დასასრული. დასაწყისი იხ. № 2, 3, 5, 1 (6), 2 (7), 4 (9).

რედაქტორი მარიკა აბაიშვილი

სარედაქციო კოლეგია: ზვიად გამსახურდია, მერაბ მამაშარიანი, თედო პაატაშვილი, გურამ პეტრიაშვილი, თემურ ქორიძე, ნოდარ წულეისკირი.

რედაქციის მისამართი: თბილისი, ვერას კოსტავას ქუჩა № 14, ტელეფონი 98-31-57

ინდექსი 66421

იბეჭდება ოფსეტური წესით ხოშარაულის ქუჩა №29

ფასი 50 კაპ.